


825 /2
1978



საპარტიზომოს განთავისუფლებისათვის მიზარძოლთა ორგანო

გამოცემის პასუხისმგებელი : გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

N19 PARIS JANVIER 1978 იანვარი პარიზი №19

შ ი ნ ა ა რ ს ი

- .2 სახალწლო მოწინავე
- .3 ვლ. ჟვანიას დახვერტის ცნობა
- .4 ვლ. ჟვანია გასამართლდა აფეთქებისათვის
ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა
- .5 ვალენტინა ფაილოძის დაპატიმრება
- .6 25 წელი ნ. ჟორდანიას გარდაცვალებიდან
ნიკოლოზ ურუშაძე
- .9 საქართველო და ნ. ჟორდანია
- .11 საბ. ტირანიის 60 წლისთავი
ბ. ქალელი
- .14 საბჭოთა ფსიქიატრიის დაგმობა
გიორგი ჯაყელი
- .15 სახაროვის საერთაშორისო მოსმენა
გულნარა ურატაძე

- .17 ოთარ ზურაბიშვილის განცხადება და საქარ. ჰელსინკის ხელშ. გატარების კომიტეტის განცხადება.
ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას ფრანგ ვეჟიულების განცხადებები.
- .20 ქ. ანი იანის და ბუკოვსკის მოწმობა
- .21 რადიო „თავისუფლების ერთი ცული გადაცემის შესახებ(ეპილოგი)
- .23 ქარ. პოლ. პარტიების და ორგანიზაციების განცხადება.
ვლადიმერ ჟვანიას პანაშვილი
სამგლოვიარო განცხადებები
შემოსავალ-გასავლის ანგარიში
- .24 რედაქციის განცხადება

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო

ერო გულადო
ერო პურადო,
შენ ჭირანახო
მრავალთმრავალის,
გავთენებოდეს
ბედნიერების

წელი ახალი
აწ და მარადის,
რომ ყოფილიყვე
მარად მღერალი
ბედის შენისა,
თავისუფალი!

არ დაეკენესოს
არსად შენს შვილთა
ერის ტივილით
ცრემლად დაღვრილთა,
ხელჩაყდულნი
წრფელ შეგობრებთან

ხარობდნენ ნათელ
მომავლის მზითა!
როზა აბნერაშვილი



ს ა ა ხ ა ლ წ ლ ი

კიდევ ერთი წელიწადი ჩამოივარდა კორონა კრილისასზე. დადგა დრო მეგობრებთან, თანამებრძოლებთან განსაკუთრებული შეხშიაბებისა. მის ძვითხელებს, და საერთოდ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ყველა მებრძოლს, ულოცავს ჯანმრთელ, ბედნიერ და გამარჯვების ახალ-1978 წელს. ისეთი ბედნიერება ჰქონებოდეს, რომ შემდეგში, ახალი წელი, ჩვენ სათაყვანებელ სამშობლოში მოვლოცოს.

301

გადავხვდებით გაბნევის თვალთ გავილი წელიწადს. ომი სომალსა და ეთიოპიას შორის, ანგოლის შემდეგ ზოირის აგრესია კუბა-საბჭოების მიერ, მისი სიკვდილის შემდეგ, დაუნდობელი ბრძოლა ხელისუფლებისათვის ჩინეთში, კომუნისტურ ხელისუფლების ტერიორია, ვენეცოლი, შიმშილი, კამბოჯაში, არეულობა და სამხედრო გადატრიალებები თაილანდში, პაკისტანში, კონგო-ბრაზაველში და სხვა. გაუთავებელ საომარი მდგომარეობა ისრაელსა და არაბ ქვეყნებს შორის, თუმცა ამ უკანასკნელად, ეგვიპტის პრეზიდენტ სადათის გაბედული თაოსნობის შედეგად, შეიქმნა შთაბეჭდილება მშვიდობის ჩამოვადებისა; მკაცრი და ხანგრძლივი სამოქალაქო ომი ეთიოპიაში, როდესაც და ჩრდილოეთ ირლანდიაში; მკვლელობა, თვითმფრინავების და ადამიანების გატაცება შანტაის მიზნით, სადაც მატერიალური და პოლიტიკური ინტერესები უცნაურად არიან ერთმანეთში გადახარბილი ითქვამის ყველა დემოკრატიულ ქვეყნებში; ოპოზიციის გააქტიურება, განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში, და ტლანქი პოლიციური რეაქციები საბჭოთა კავშირში და მის სატელიტ სახელმწიფოებში; ასეთია სქემატური სურათი გასულ წელში მომხდარი მსოფლიო ამბებისა. ყველაზე უფრო შესანიშნავია ის, რომ დროებით თავიდან იქნა აშორებული ატომური ომით გამოწვეული აპოკალიპსი. ვამბობთ დროებით, რადგანაც მისი საშიშროება, როგორც წარსულში ისე დღესაც ჩამოვადებულია კაცობრიობის თავზე. ამ საფრთხიდან განთავისუფლება და ხალხთა შორის ჰუმანური მშვიდობის დამყარება კიდევ მრავალი წლების ზრუნვის საგანი იქნება. ყველა კეთილის მსახურმა უნდა ილოცოს და იმოქმედოს მის სასარგებლოდ. მხოლოდ ცარიელი სიტყვით არ უნდა მოვიხიბლოთ მშვიდობის მანური სიტყვის საფარით ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობს არსებულისაშარბლობა, დაბყობილ ერთა მორჩილება მუდმივი ვახდაოს, და თავისუფალ ერების სუფხილზე მიაძინოს, რათა მომავალში უფრო ადვილად დაიბრუნოს. ჩვენთვის საეჭვო არ არის, რომ სწორედ ასეთია კრემლის ხაზენების ციური „სამშვიდობო“ ჩანადფირი. გასაკვირველი არავისთვის არ უნდა იყოს თუ ჩვენ ასეთ „მშვიდობის“ წინააღმდეგი ვართ. თვითხელმწიფებმა და თანასწორუფლებიანობა ყველა ერების, თავისუფლება და თანასწორობა ყველა ადამიანს, ასეთია ძირითადი პირობა ნამდვილი საკაცობრიო მშვიდობიანობისათვის თავისუფლების ჰიმნი

„სჯობს მონობაში გადიცა ცეხულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი.“

რომელსაც ასე მშვენივრად ეხმაურება სულმანთ შოთას:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“

არის საკაცობრიო მშვიდობის, ომის და ზავის ძირითადი პირობა. ამ მიდგომით, გასულ წელში, მთავრობების დონეზე, არავითარ გაუმჯობესებას ადგილი არ ჰქონებია. ბელგრადის 35 სახელმწიფოს წარმომადგენლების კონფერენციამ, სანამ დაიწყო ებოლა, დაბადა იმელი, რომდემოკრატიული სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის და მის სატელიტ ქვეყნების მთავრობებს მოსთხოვედა პეღონის ხელშეკრულების ჰუმანიტარული ნაწილის ცხოვრებაში გატარების ანგარიშებს და თუ კრემლის წარმომადგენლები უარს იტყოდნენ ანგარიშის მცემანზე, მაშინ ოფიციალურად მოხდებოდა კონსტატაცია იმ უფსკრულის, რომელიც არსებობს საბჭოების სიტყვასა და სინამდგლეს შორის. თუმცა ბელგრადის შეკრებილობა ჯერ დამთავრებული არ არის, მაინც ახლაც შეიძლება ითქვას: ის მასზე დამყარებულ იმედებს ვერ გაამართლებს. ყალბი დეტანტის ილუზია ჯერ კიდევ დიდია ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწის შეგებებაში. ზოგიერთ პატარა სახელმწიფოებში შანტაის მიზანს აღწევს. აღსანიშნავია ამერიკის შ. შ.ის კონტრუქტიული პოზიცია, ადამიანის უფლებების დაცვა. ამან დიდ დათ აღაფრთოვანა კომუნისტურ სამყაროს შინაური ოპოზიცია, მაგრამ ჩვენი შთაბეჭდილებით, ამერიკის მთავრობასაც აკლია სიმტკიცე, და მასზე გაეღუნას ახდენენ მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგე მძი მოკავშირეები.

საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლის, ედ. შვეარდნაძის, მუხლებზე ფოტობეჭად ბრეჟნევისა და სუსთის წინაშე, ქართველი კაცი თავისად ვერ მიიჩნევს. მლიქვნელობა და პირმოთენება კარისკაცის ხელობა და ედ. შვეარდნაძეც ხომ საბჭოთა საინჟინერო კარისკაცია, მაგრამ, მაინც, კრემლის მიწვევას სადღესასწაულო კრებაზე, იქნება ეს კომპარტიის ყრილობა თუ უმაღლეს საჭიოს სესიას, სრულიად უადგილოდ, გლობა ტოლიბაშვიტ ბრეჟნევის და რუსების უსაშველო ქება-დიდება და მადლობა საერთაშორისო აზრის ზიზს და დაცივნებას იწვევს და მით ჩრდილს აყენებს ქართველი ხალხის შესახებ არსებულ კეთილშობილოდ გამონახულებას.

ეს ვაჭაბუკონი საქართველოში უწყალოდ სჯის ყველას ვინც ბედავს ხმის ამოღებას რუსულ შავრაზმელურ პოლიტიკის წინააღმდეგ. 17 დეკემბრის „კომუნისტმა“ გვაუწყა ვლადიმერ ჟვანიას სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანა. ეს არ არის დამნაშავეის მართებული დასჯა, არამედ ხელისუფალთა მიერ შესრულებული პოლიტიკური მკვლელობა. ვლადიმერ ჟვანია მოკლეს, რადგანაც მან გაბედა პარტესტი გაეცხადებინა რუსიფიკაციის წინააღმდეგ ის მოკლეს რომ სხვა ქართველი გილარ გაბეღოს წინააღმდეგობას გაწევა. ქართველ ხალხს ამით ვერ დააშინებენ, პირიქით ისინი კიდევ უკეთესად დაინახავენ თუ რა დაუნდობლები არიან მათი მტრები და უკეთეს გზებს გამოიხატავენ თავის დასაცავად.. ელ. ჟვანიას მოქმედება იყო თუ არა მიზანშეწინილი? ამაზე უკვე ლაპარაკი აღარ არის აქცე უკვლავი შოთა პასუხობს:

„ვინცა მოკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ზეცას რბიან„,

და ჩვენ ისღა დაგვარჩენია ჭელი მოეხაროთ მისი გულმტრულად მამულიშვილობის წინაშე.

დღიდან დაპატიმრებისა არავითარი ცნობები არ არსებობდა ზვიად გამსახურდიასზე და მერაბ კოსტავაზე. ამჟამად კი ისინი იპყრებიან მოსკოვში, სერბსკის ფსიხიატრულ ინსტიტუტში. ცხადია: სახ. უშიშროების ორგანოებმა ვერ შეძლეს მათთვის საჯარო პროცესის მოწყობა და ეხლა ცილიობენ გამოცდილი „მეცნიერული“ მეთოდებით მოადუნონ, მოსტებონ, მათი უტეხი ნებისყოფა.

მე სხვაგან განვიხილავ ზ. გამსახურდიას და მის პოლიტიკურ მეგობრებთან პოლიტიკური ემიგრაციის დამოკიდებულების საკითხს, აქ კი ვიტყვი, რომ ზ. გამსახურდიამ და მ. კოსტავამ დიდი ნაყოფიერი მუშაობა აწარმოეს შეგნებულად დიდი რისკის გაწევით. ჩვენი მამულიშვილური მოვალეობაა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებით ისინი დავიხსნათ პატიმრობა-საგრიეთისაგან. თურმე, ურია წყალს მიჰქონდა, ღმერთს ევედრებოდა მიშველეო. ღმერთმა დაუძახა ხელები გაანძრე და გიშველეო. ჩვენც, ჩემოდ თანამემამულენო, გავანძრიო ხელები, ვიმოქმედოთ ერთობლივად და ენერგიულად და დარწმუნებულად იყავთ ღმერთიც დაგვეხმარება.

ვლადიმერ ჟვანის დახვრეტის ცნობა

„მართლმსაჯულება აღსრულებლია“ სათაურით და „ერთი განსაკუთრებული ბოროტმოქმედის შესახებ“ ქვესათაურით, ვინმე მ. რომაქიძე 17 დეკემბრის გაზ. „კომუნისტში“ საცამოლ გრძლად მეტყველებს, რათა გაამართლოს ვლადიმერ ჟვანიას სიკვდილის ვანაჩენის სისრულეში მოყვანა. მ. რომაქიძე მოგვაგონებს: ბომბის აფეთქებას, 1975¹ წ. 22 ივლისს, სოხუმში, საოქო კომიტეტის შენობის წინ, რომლის დროსაც დაღუპულა მოჭალაქე ს. ლევიტინა და დაშავებულა მისი ახლოვე. რამდენიმე თვის შემდეგ ბომბის აფეთქება მომხდარა თბილისში, მინისტრთა საბჭოს შენობის ახლოს, ამდ მესამე დღეს იგივე განმეორებულა ქუთაისში, ცენტრში,, რომლების დროსაც საბედნიეროდ მსხვერპლი არ ყოფილა. ამ აფეთქებებს ის ავტორი ე. ჟვანია შეიბურეს. ის ოკე წლის წინად იყო გასამართლებული და პატიმრობა მისილი „ანტისაზოგადოებრივი“ მოქმედებისათვის. 1963 წ. კვლავ გაასამართლეს ჩხუბის გამო, მიესაჯა ექვსი წლით შრომავასწორების კოლონია, მაგრამ ვინმემ ორჯერ გაქცევის ცდისთვის ორ-ორი წელი რეუბიტის და ამრივად სულ ათი წელი შესრულაო. მათავისუფლების შემდეგ, რომაქიძის თქმით, ყველა ეხმარებოდა, მაგრამ პატიოსანი შრომა არ ჩდომდა, გადაწყვიტა საზოგადოებაზე შურისძიება დაბომბების ეს აფეთქებები დასაწყისი იყო დიდი მასშტაბისმძარცველობის მზადების, რომ პოლიციას არ მიეგნოო. სასამართლოზე თავი ისე ეჭირა ვითომც ამას საზოგადოებისათვის აკეთებდა და თავი გმირადაც კი მოქაქონდაო ასკენისრობაქიძე.



ვლადიმერ ჟვანია გასამართლდა აფეთქებებისთვის
(თვითგამოცემის დოკუმენტი. თარგმანი რუსულდან)

ვლადიმერ ჟვანია დაიბადა 1935 წ. ფოთში. მამამისი იყო მხედარი, რომელმაც 1921 წელს, სხვა ქართველ კომუნისტებთან ერთად, ორჯონიკიძის მეთაურობით, შემოუძღვა მეთერთმეტე რუსულ არმიას და მონაწილეობა მიიღო საქართველოს დაბრუნებაში. ის სახვრეტო იქნა ათას ცხრაას ოცდობრამეტ წელში, ქონება ჩამოერთვა და ვლადიმერის დედა ქუჩაში დარჩა სამი ბავშვით. დედა მალე ხელახლა გათხოვდა. ვლადიმერი კი იზრდებოდა ბებოსთან. საშუალო განათლება მიიღო სოხუმში. 1955 წ. ვ. ჟვანიამ სცადასარკის დატოვება, საზღვარზე, ბათუმთან ახლოს, გადასვლის ცდისას დააპატიმრეს, გაასამართლეს და მიუსაჯეს სამი წელი. 1956 წ. მამამისის რეაბილიტაცია უყვეს, რადგანაც უმიზნოდ იყო დახვრეტლი. 1962 წ. ვ. ჟვანია მეორედ დააპატიმრეს, ამჯერად ჩხუბისთვის (შეშდევში მან დედის მოუყვა, რომ მას პროვოკაცია მოუწყვეს), გაასამართლეს, მიუსაჯეს ექვსი წელი, მაგრამ პატიმრობაში სულ გაატარა ორი წელიწადი, რადგანაც ირჯერ გამოაქცა. წელსეცის და ქსნის, შრომავასწორების კოლონიებში და ყოველ გაქცევისას მას უმატებდნენ ორ წელიწადის განთავსებულს 1972 წელს. ამის შემდეგ მან დიდი ხნის განმავლობაში ვერსად ვერ შეძლო ჩაწერა, ვერ იშოვნა სამუშაო, რადგანაც ყველგან უარს ეუბნებოდნენ როგორც ყოფილ პატიმარს. ბოლოს, ერთმა მისმა ნათესავმა მოუხერხა და ჩაწერა. რუსთავში. მამის რეაბილიტაციის შემდეგ, ვინაიდან ის შორს ვერ ხვდავდა, დაუწინეს პენსია(ოცდარვა მანეთი). რუსთავში ჩაწერის შემდეგ, მას აღუდგინეს ეს პენსია. ვ. ჟვანიამ დამოუკიდებლად შეისწავლა ინგლისური ენა და, ვინაიდან სამუშაო ვერსად იშოვა, იძულებული იყო ემუშავა რეპეტიტორად. დროთა განმავლობაში მასში მომწიფდა აზრი: მისი იმპობლო, საქართველო, საჭიროა გახდეს დამოუკიდებელი. მან განაწვევითა ამ მიზართულებით მოქმედება, რათა გამოაფხიზლის ქართველი ხალხი. ამისთვის მან არადა მართო მოქმედება, ბოძსკის აფეთქება, არა ვინმეს ან რამე ობექტს მოსპობის მიზნით, არამედ ხალხის გამოძახლის მისაღებად. მან მოახდინა სამი აფეთქება: სოხუმის ქალაქის საბჭოს წინ 1975

წელში, თბილისში, მთავრობის სასახლის წინ 1976 წლის თორმეტ აპრილს. იმავე წლის თოთხმეტ აპრილს ქუთაისში, წულუკიძის ბაღში. სოხუმში აფეთქების დროს შემთხვევით დაიღვპა ერთი ადამიანი, რადგანაც ანთებული პაპიროსი ჩაავლო სანაგვე ყუთში, რომელშიაც ბომბი იდგა. უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ჟვანიამ ქუთაისში ასაფეთქებელ ობექტზე დადგა ქალალი წარწერით: „ერთობლად აფეთქდება“, რომ თავიდან აეცილებია დიმიანების მსხვერპლი. 1976 წლის ხუთმეტ მაისს ვ. ჟვანია დააპატიმრეს შემდგენიარად- მან წერილი მისწერა ბათუმის კვების სევაკრო ტრესტის უფროსს, მას სთხოვა ფულადი დახმარება პატრიოტულ მიზნებისთვის.. ის სწერდა: იქმნება ორგანიზაცია, რომელიც საქართველს მატერიალურ დახმარებას. ტრესტის უფროსი დითანხმდა, მაგრამ ამავე დროს ფარულად შეატყობია კავებებს და როცა ჟვანია მასთან გამოხატავდა სამუშაოზე, მისგან ფული მიიღო, ის დააკავეს კარვებში გამოსვლისას. დაპატიმრებდა დროს, ჟვანიას აღმოუჩინეს სამი წერილი: საქ. კომპარტიის ცენ. კომიტეტს, მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე, რომელშიც ის საქ. განთავისუფლების ორგანოცაქცის სახელით უყენებდა მოთხოვნებებს, რომლებიც ჩამოყალიბებული იყვნენ რვა მუხლიდ. ის მოითხოვდა საქართველოდან რუსულ ავარების გაყვანას, რევერენდუმს და საქართველოს შევეკანას გავრცელებულ ერთა ორგანიზაციაში. ამავე წერილში ის აფთხოვლებდა ხელისუფალთ, რომ თუეს მოთხოვნები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, ორგანოცაქცია გაავრცელებდა აფეთქებებს. ვ. ჟვანია გაასამართლეს 1977 წლის დასაწყისში, საქ. სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 69, 71 (პირველი ნაწილი) 54 და 238 (პირველი ნაწილი) მუხლების მიხედვით.

პროცესი დიწყყო ჩვიდმეტ იანვარს. გასამართლოთ თვემჯდომარობდა მოსამართლე ჯიბლაძე, ბრალმდებლობდა შ. რევიშვილი და იცავდა ვ. ხომერკი. ბრალმდებელმა მოითხოვა სასჯელს უმაღლესი ზომა. ის ამტკიცებდა რომ ვ. ჟვანია არსად არ მუშაობდა, რომ ის იყო მუქთახორა. მის არ უთქვამს თუ ჟვანია რისთვის დააპატიმრეს პრველად, რომ, ციხიდან განთავსუფლებდა შემდეგ, მან ვერ იშოვა სამუშაო, რომ ის იყო მეორე თანრიგის ინვალიდი და ამიტომ სრული უფლება ჰქონდა არ ემუშავა. რაც შეეხება 69 მუხლს, რომლის ძალითაც ვ. ჟვანიას მიუსაჯეს უმაღლესი ზომა, მას არ მიუდგებოდა, რადგანაც ეს მუხლი გულისხმობს განადგურებას ან დაზიანებას სახელმწიფო დაწესებულებების, კავშირგაბმულობის და შექარაღების, ეპლემის და საქონლის ჩირის გავრცელებას საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტებას მიზნით და ეს დანაშაულებანი კი ჟვანიას არ ჩუდენია. მისზე უნდა ვაე-



რკველებულიყო მესე მუხლის მეორე ნაწილი, რომ ელიც ითვალისწინებს რვა წლის პატიმრობას. სასამართლოს დასკვირდა მთელი ერთი კვირე განაჩენის გამოსატანად, რადგანაც არ იციდნენ გორ მოქუთუიყვენ. ბრალდებულის საბოლოო სიტყვა და სასამართლოს განაჩენი ერლიმივე შედგენილია მოხდა. ბრალდებულმა ვ. ჟენიამ თავის უკანასკლ სიტყვაში განაცხადა, რომ თავს გრძნობს დამნაშავედ მხოლოდ იმაში, რომ აირჩია არა სწორი გზა საქართველოს გასათავისუფლებლად. შას უყვარს მისი სამშობლო და სწამს, რომ ის იქნება დამოუკიდებელი. მან კიდევ თქვა, რომ ერთპარტიული სისტემა სახელმწიფოში არღვევს დემოკრატიასო და სხვა. თბილისისსაბჭოთა პრესამ დასწერა, რომ დამსწრენი განაჩენს შეზღუნენ მოწონებითო. სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა, განაჩენის შემდეგ, დარბაზ დან ყველა გამოვიდა უხმოდ, ყურებმაიმოყრილი და ქვეგამაზირალი. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ დარბაზში შესვლა მხოლოდ სპეციალურ სამსახურებით შეიძლებოდა, დარბაზს იცადა არა მილიცია არამედ კაგებეც ნაწლები. ერთი მილიციონერი არც კი შეუშვეს შფ დასასწრებად. გასამართლებულის ნათესავებს არ მისცეს არც საბრალდებლო დასკვნა, არც განაჩენი, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილმისჯილის დამ, ნინა ჟენიამ მოსამართლე ჯიბობქეთან წერილობით გაასაჩივრა. ხელს აწერენ:

ზვიად გამსახურდია და
მერაბ კოსტავა

19.3.1977. თბილისი.

ვლადიმერ ჟენიას დის თხოვნა

ვლადიმერ ჟენიას პროცესის შესახებ, ზემოდ მოყვანილ ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას წერილის გარდა, ისევ თეთგამოცემის გზით, მივიღეთ ვლ. ჟენიას დის, ნინა ჟენიას, საჩივრის წერილის ტექსტი, რომელშიც მას განაჩენის შემდეგ გაუგზავნიდა მოსამართლე ჯიბობქის სახელზე. ამ წერძლში ნინა ჟენია ასაბუთებს, რომ, როგორც გამოძიების ისე პროცესის დროს დაღვევლ ფაქტების მიხედვით შეუძლებელია მუხლის მიყენება, რომლის ძლითაც ვლ. ჟენიას სიკვდილი მიესაჯა. ამ მოტივით ის მოთხოვს ვლადიმერ ჟენიას პროცესის გადასიხჯვას.

XXX XXX XXX XXX

შემაშფოთებელი ცნობები მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას შესახებ.

დაპატიმრებდან რვა თვის ვასვლის შემდეგ, მ. კოსტავას მოხუცმა დედამ და ზ. გამსახურდიას ახალგაზრდა ცოლმა დანამდვილებით ჯერ კიდევ არაფერი იციან თავიანთი შვილის და მეუღლის ბედის შესახებ. მინანა გამსახურდია მის დასავლეთელ მეგობრებს ევეღრება დაეხმარონ ამბის გაგებაში. ნოემბრის დამდეგს გავრცელდა შემაშფოთებელი ცნობები გამომდღარაე აკადემიყოს ან. სახაროვის წრიდან, თექოს ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა არიან მოსკოვში, სერბსკის ფსიქიატრულ ინსტიტუტში, და, რომ ზ. გამსახურდიას სყოცხლე განსაკუთრებულ საფრთხეშუ იყოს გამოძიების დროს მიყენებულ წამების შედეგად.. საქართველოში ჰელსნკის შეთანხმებშს გატარების პარიზის კომიტეტის ინიციატივით, დეიანა ფსიქიატრმა ალაბერმა მოახერხა ტელეფონთ დღაჭეშირებუ სერბსკის ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტის მეოთხე სექციის უფროსმა, პროფ. ლანდაუშ დადასტურა, რომ ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა იქ იმყოფებიან მათი გონებრივი მღგომარეობის განსაზღვრის მიზნით, პროფესორმა პასუხი არ გასცა კითხვებზე რამდენი ხანია რაც გამსახურდია და კოსტავა იქ იმყოფებიან ან რამდენ ხანს შეიძლება კიდევ იქ დარჩნენ.

XXX XXX XXX XXX XXX XXX


ვალენტინა ფაილოძის დაპატიმრება

გასულ წლის ექვს ნოემბერს, თბილისში, დააპატიმრეს ვალენტინა ფაილოძე. დაპატიმრების მიზეზი უცნობია ჯერჯერობით. ვ. ფაილოძე არის აქტიური წევრი ზ. გამსახურდიას ჯგუფის, ღრმად მორწმუნე ქრისტიანმა, არაერთხელ და განსაკუთრებული თავგამოდებით ამხილა ეკლესიაში მოკალათებულ კ.გ. ბ.-ს ადგილზე შეგებასაკეობი. ცრუ მონაპირების გავრცელების მიზეზით ვ. ფაილოძე უპიკ იყო გასამართლებული და წელიწად ნახევარი გაატარა პატიმრობაში.ამ მონაპირი ანონიმური წერილებში დაგმობილი იყო საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ემუქრება ქართ. კულტურას, ქარ. ეკლესიას და საერთოდ ქართველ ხახილს და გავიცილებული იყვენენ რენეგატები რომლებიც ხელს უწყობენ კრემლის იმპერიალიზმს

25 წელი ნოე ჟორდანიას

გარდაცვალებიდან

ნოე ჟორდანიას სახელი განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი ერის არა მარტო დამოუკიდებლობის ხანასთან, არამედ ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ განვითარების ამ ჩვენი საუკუნის იმ ეპოქასთან რომელსაც დამოუკიდებლობას წინ უძღოდა და ცხადია იმ დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლასთან, რომელსაც ქართველი ერი ეწევა რუსულ საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ. პარადოქსალურად მისი მოსისხლე მტრები მის სახელს ერთ დროს უფრო ხშირად ახსენებდნენ ვიდრე ქართველი ხალხი. რუსულ საოკუპაციო ძალების და მათი დირექტივების აღმსრულებელ ქარ. კომპარტის დამოკიდებულება ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ პიროვნების მიმართ შეიცავს რამოდენიმე პერიოდს. დღიდან ჩვენი ქვეყნის დაბჭობისა განსაკუთრებით კი აგვისტოს აჯანყების წინა წლებში, ჩვენი ერის მპყრობლები, ნოე ჟორდანიას სახელს წარმოუდგენელ გაშმაგებით და გააფთრებით ამაგებდნენ, რაც ყოველგვარ ყოყმანის გარეშე, ქართველ ერის შეგნებაში, წარმოადგენდა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის ხანის და მისი იდეის გაგებას. აგვისტოს აჯანყების შემდეგ, სეით დედეარაიანი რჩევის შედეგად, ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკვანძო შესამჩნევად შეიცვალა. მათი პრესა უკვე აღარ აწარმოებს ნ. ჟორდანიის სისტემატიურ ძაგებას. ს. დედეარაიანის ამგვარ რჩევას მოტივებზე ვრცლად ლაპარაკი შორის წაგვიყვანდა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნული იქმნეს ის, რომ ს. დედეარაიანის რჩევა სუბიექტიურად სრულებით არ იყო გამოწვეული დამპყრობელთა რეჟიმის ხელის შეწყობის განზრახვით, არამედ მძი მკაცრ-უთარყოფითი შეფასებით აგვისტოს აჯანყებაზე. 1930-35 წლებში ქარ. კომუნისტები შეეცადნენ, ნ. ჟორდანიას პიროვნების დისკრედიტაციის მიზნით, მისთვის დავპირისპირებათ ილია ჭავჭავაძის დიდეროვნული ავტორიტეტი. ცნობილია ის, რომ ხელისუფლებას არცერთი ავტორიტეტი მწუხრის და მისი შემოქმედების პოპულარიზაციისთვის ისეთი ზრუნვა და ყურადღება არ გამოუჩენია, როგორც ილიას მიმართ. ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური და ლიტერატურული მემკვიდრეობა ქარ. ერისთვის დღესაც უდიდეს განძეულობას წარმოადგენს. ილია ჩვენი ეპოქის უდიდესი მწერალი, მისი დროის ეროვნულ აზროვნების ბუმბერაზი, მაგრამ საქ. დამოუკიდებლობის ხანა, თავისი ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსით, გასცილდა ილია ჭავჭავაძის მიერ ქართველ ერისთვის ნანატრ ოცნებათა სამყაროს. იგივე ხელისუფლება დღესაც ცდილობს, მაგრამ ამაოდ, ილიას უდიდესი ავტორიტეტი გამოიყენოს რუსებთან ქართველების შეგობრობის განსამტკიცებლად. ქართველი ერი, რასაკვირველია, არ წამოეგო ხელისუფლების მზაკვრულ ანკესძე. მან მის იღუმალ პანთეონში მისამისი ადგილი მიუჩინა. 1935 წლიდან სტალინის ძლევა მოსილება ზენიტს აღწევს. გარდაუვალ ომის მოლოდინში, რუსეთმა შეიარაღებულ ძალების პოტენციალი წარმოუდგენლად გაზარდა. ამ გაუგონარ მზადებას შეეწირა რუსეთის მიერ დამპყრობელ ერთა ყოველგვარი დოვლათი და ცოცხალი ძალები. მოიპოვება უდავო და უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ იმ ხანებში ქართველ ხალხს, მოახლოებულ ომის შესაძლებლობის გამო, ისევე მიეტოვნენ სხნის იმედი და ეს იმედი უდავოდ დაკავშირებული იყო გახიზნულ ნოე ჟორდანიას სახელთან და ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის ოცნებასთან. მეორე მსოფლიო ომმა ეს ილუზიები გაფანტა და ჩვენი ეროვნული განთავისუფლების შესაძლებლობა იალტამ შორეულ დროსთვის გადაწია. ამ ომიდან გამარჯვებული არსებითად გამოვიდა ორი სახელმწიფო: რუსეთის საბჭოთა მხპერია და ჩრდ. ამერიკის შ. შტატი და დღეს, სტალი-



NOE JORDANIA



ნის ნაწილობრივ განვერიგებების შემდეგ, მიუხედავად რკინის ფარდის არსებობისა, მინიჭებულ შოკადი წარმოდგენა მინიჭ, საბჭოთა კავშირის და კერძოდ ჩვენს სამშობლოში არსებულ ეკონომიკურ ეობაზე. დასავლეთულ მოგზაურთა და საქართველოდან ჩამოსვლთა ჩვენებებიდან გარკვევით ვსაყენით დიდი ხნიდან გარდაცვლილ ნოე ყორღანის პოპულიარობის ფაქტს, რაც მის ამტკიცებს რომ მისი სახელი ამჟამად სიმბოლოა ჩვენი ერის დამოუკიდებლობისაკენ არსებულ მძლავრ მიღრეკილებსა.

1972 წლის გაზაფხულს, საქართველოს ისევ თავს დაატეხა მოსკოვის ახალი რისხვა. ეს ამბები თავის პოლიტიკურ შედეგებში იმდენად მნიშვნელოვანი იყვნენ, რომ მათი გამოძახილი ევროპის კონტინენტსაც კი გასცილდა. ამ რეპრესიების საბაზი და პირველი მსხვერპლი გახდა საბჭოთა ქართველი ისტორიკოსი სიღამონიძე. რა დანაშაული მიუძღოდა მას მოსკოვისა და ქარ. კომუნისტების წინაშე? უეჭველად რთულ და მძიმე პირობებში ჩატარებულ ძიებათა და მუშაობის შედეგად, სიღამონიძემ, დასწერა ისტორიკული ხელისთვის შრომა შემდეგი სახელწოდებით „საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობისა და სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია“. როგორც საბჭოთა წესი მოითხოვს, ეს წიგნი გამოიკა ყოველგვარ პარტიულ და ადმინისტრაციულ იერარქიულ ინსტანციების გავლის შემდეგ, ისტორიკოს სიღამონიძის წიგნის მთავარი თავი ეხება საქ. დამოუკიდებლობის წინა ხანას, როდესაც ჩვენში აღდგლი ჰქონდა დიდ დავას რუსეთის სოც. დემ. პარტიაში შემავალი მესამე დასელებსა და საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიის შორის საზოგადოდ ერეოვებულ პირობებისა და კერძოდ ჩვენში ეროვნულ საკითხის შესახებ. მაშინდელ ევროპის მხოლოდ ავსტრო-უნგრეთის და რუსეთის იმპერიებში იდგა ეროვნულ პირობების მოგვარების მწვევე საკითხი და ამავე ქვეყნებშიაც მზადდებოდა ამ საკითხის თეორიული შესწავლა და მისი რეალური განხორციელება. აქ უნდა მოვივიწყოთ ისიც, რომ თებერვლის რევოლუციამდე საქართველოში არსებობდა მხოლოდ ორი პოლიტიკური პარტია და ორთავე სოციალისტური მიმართულების: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მარქსისტული პარტია და არამარქსისტული ქართული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. ბუნებრივია, მათი თეორიულ განსხვავებათა შედეგად, აწმყვის და მომავლის მიდგომა-შეფასება, განსაკუთრებითი ეროვნულ საკითხის მათი ანალოზი და დასკვნები და აქედან გამომდინარე სამოქმედო ტაქტიკა ერთი მეორეს შესამჩნევად შორდებოდა. დაათანამდელოვე, საბჭოთა ფორმაციის ისტორიკოსი სიღამონიძე, რომლისათვის თითქმის მარქსისტული დოგმატიზმი, დიამატ, სავალდებულო კრიტერად უნდა ითვლებოდა, იხილავს რა ამ ორი პარტიის ეროვნულ საკითხის კონცეპციას

და მათ სამოქმედო ტაქტიკას, ის იმდროინდელ პოლიტიკურ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით გარკვევით უპირატესობას, არ როგორც ის თვით ხმარობს, პრინციპობას ანიჭებს ამ საკითხის სოციალ-ფედერალისტებისმიერ წარმოდგენილ გაშუქებას. სიღამონიძის მიერ აღებული ამგვარ პოზიციის გამო, მოსკოვის კატეგორიულ მოთხოვნის შემდეგ, თბილისის ხელისუფლება, გუშინ მის მიერ მოწონებულ ისტორიულ შრომას, ყოვლად დაუშვებელ ერეზიად აცხადებს და ამ შრომის ავტორს უწოდებს სოციალ-ფედერალისტს, ნაციონალისტს და კონტრრევოლუციონერს. დაახლოებით ისე, როგორც თავის დროზე ქართველ სოციალ-ფედერალისტებს მისი იდეური მოწინააღმდეგეები ნათლავდნენ. საბჭოთა დუხტორ იდეურ პირობებში სიღამონიძის მოულოდნელ გამოქვინების ფენომენზე, მის წარმოშობებულ პოლიტიკურ კონტექსტზე და ჩვენი დროის ამ დიდ პოლიტიკურ და აქედან გამომდინარე მრავალ დასკვნებზე, ბევრი რამის თქმა შეიძლება, რაც ამ წერილის საგანს არ წარმოადგენს. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ჩვენთვის, ქარ. პოლ. ემიგრაციისათვის, ჩვენი რწმენით ძირითად სავალდებულო დასკვნებზე. წინასწარ კი საჭიროა აღინიშნოს ის სამწუხარო და გაუგებარი უყურადღებობა, რომელიც ქართულმა ემიგრაციამ გამოიჩინა ამ მოვლენის მიმართ, და რამდენადაც დაიწყო, ეჭვი არ არის, რუსულ საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ჩვენში წარმოებულ რუსულ კოლონიალურ პოლიტიკის ახალი მკაცრი ეტაპი. ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ მიუხეხენის ქართულ რადიო-რედაქციას მიერ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ რამდენიმე ვადაცემას, რადგან მათი ავტორი თუ ავტორები ჩვენს დამოუკიდებლობის და მის წინა ხანას იცნობს საბჭოთა ოფიციალურ ისტორიის გაყალბებულ ნაწარმოებს. ან აქ, ემიგრაციაში, გამოქვეყნებულ სიტყვების და ნაწერების მიხედვით. ამ უკანასკნელთა კი სამწუხაროდ ახასიათებენ ხშირად, მეტი რომ არ ვთქვათ, ცალმხრივობა და ტენდენციურობა. მეტად სანუგეშოა ის გარემოება, რომ ისტორიკოს სიღამონიძემ წარმოდგენილ ჩაქვეყნობის მძიმე პირობებში შეძლო აღედგინა და გააქვეყნებინა ჩვენი ახლო პოლიტიკურ წარსულის ფუნდამენტალური



სასიოცხლო პრობლემები და ამით გარკვევით და დროულად მოეგონება ქართ. კომუნისტურმა მათი ეროვნული მოვალეობა. მართლაც უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება მკვიდრებს და უტხოვლებს, ციფრებით ხელში, უმტკიცებს იმას, რომ ქვეყანა ეკონომიურად წინ იწეებს და მოსახლეობის ნივთიერი მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება, რაც გარეგნულად შეიძლება ნაწილობრივ სიმართლეს შეიცავდეს. მაგრამ ისმება ღრმად ჩამაფიქრებელი საკითხი: გვიჩრდება თუ არა და რად გვიღობს ჩვენ მათი ეგრე ღიდი რაოდენობის ქარხნები, რომელთა ჩვენში იმავე უმეტეს შემთხვევაში რაციონალურ წარმოების თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელია და ავად ღრის ჩვენი ეროვნული აოსკომისათვის ნაადვირო მუქარაა, რადგან ეს გარემოება საქართველოს ეკონომიურად ხდის ცენტრიდან საბოლოოდ დამოკიდებულს. ან რა საჭიროა პატარა ერისთვის და მის ეროვნულ ეკონომისთვის ეს უამრავი უმადლესი სკოლები, რომლებიც ამზადებენ უმთავრესად კვალიფიციურ კადრებს საექსპორტოდ და ვადასავაერებლად. განა სადავია ის, რომ ჩვენი გვიჩრდება უკიდურეს შემთხვევაში ვიყოთ „უკუტრუნაია რესპუბლიკა“, მაგრამ ჩვენი მამული, ჩვენი მიწა ჩვენი, ქართველებს, გვეკუთვნოდეს, ვიდრე ჩაი და თეთრი პური გვეკონდეს, მაგრამ მამაპაპული სამშობლოს გამეთავა -პატრონებად უტხოვლები ვახუნდ. ჩვენი ვაგებობ, აი რის თქმა და ვახსენება სურდა, ქართველ კომუნისტებისათვის, სიღამონიძეს. ამასთან დაკავშირებით ვაგვიხსენით ის თუ რა წინდახედულობას იჩენდა ჩვენი ეროვნული მთავრობა ჩვენში უტხო კაბიტალის დაბადების და საგარეო კონცესიების გაცემის საკითხში. და თუ სიღამონიძის სიტყვა და მსხვერპლი დროული და მიზანშეწონილი იყო ჩვენი ქვეყნის მართველებისთვის მათი მოვალეობის მოსაგონებლად, ჩვენთვის, ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლ ემიგრაციისთვის, სიღამონიძის მეტურის მსგავს გამოვლინებას და მის შრომას ეძლევა მხოლოდ ჩვენი ახლო და მეტად მნიშვნელოვან ეპოქის ობიექტურად და რიგაინად აღდგენის ღირებულება და მნიშვნელობა. რადგან ეს ძირითადი პრობლემები ჩვენთვის საბოლოოდ გადაწყდა მაშინ, როდესაც ქართველმა ერმა სრულიად თავისუფლად გამოთქმულ ნებისყოფით ახლად აღდგენილ ქართულ სახელმწიფოს მართვის პასუხისმგებლობა ნოე ყორდანას დააკისრა. ის თაობა, რომელსაც მე რწმენით და ასაკით ვეკუთვნები, რომელმაც დამოუკიდებლობის გამოცხადებაში თუ ახალ დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებაში ოდნავ მონაწილეობა მიიღო, მორალურად მოვალეა მამულის წინაშე დატოვოს დამოწმება, რომ ბედნიერი იყო და არის ის და დღესაც ხარობს იმით, რომ მის თაობას წილად ხვდა ასეთი ღიდი ბედნიერება. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს ახლად აღმდგარ სახელმწიფოს ვაჩნდა ისეთი პოლიტიკური თავისუფლება, როგორც ნახევარი საუკუნის შემდეგ მოწინავე ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოებისთვის დღემდე მიუწვდომელია. მაშინ და ეხლაც ჩვენ გვაქვს იმის ღრმა რწმენა, რომ თუ ჩვენი დამოუკიდებლობის ხანის სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ რეკიმს ახასიათებდა ზოგიერთი ნაკლულევანება, ჩვენი მოწინავე. ან როგორც ეხლა მხარობენ, ჩვენი პროგრესისტული კონსტიტუცია იძლეოდა სრულიად ლეგალურ გზებს და საშუალებებს მათი გამოსწორებისას. და უთუოდ ეს ეგრე მოხდებოდა, რომ ჩვენ დაგვკლოდა და რუსეთს ხელახლად არ დავებყარით. მეტად სავალალო და სამწუხარო ჩვენი ისტორიისთვის ის, რომ ვაღმობეწვილობაში, იმ ჩვენს თავისუფლად და ბედნიერ ხანაზე, ვარდა ნეტარსხენებულ ველსა მგელაძისა, მხოლოდ რამდენიმე თანამემამულე გავკვირ და მოკლეთ მოხისენია ამ დროის ღიდი ეროვნული აღტყინება.

1921 წლის მარტის რიცხვებში, ბათუმში, ყოველმხრივ რუსულ ჯარებით ალყა შემორტყმულმა და მიუხედავად ციხებიდან ახლად განთავისუფლებულ ქართველ კომუნისტების მუქარისა, საქ. დამუშავებულ კრებამ თავისი არსებობა ისტორიულ აქტად დაასრულა. მან ერთსულოვან დადგენილებით დაავალა იქვე, იმავე სტდომაზე, ნოე ყორდანას თავმჯდომარეობით ოთხ გვირგვინს საგანგებოდ შედგენილ ეროვნულ მთავრობას, ვახიზნულიყო უტხოეთში და იქ და იქიდან ყოველგვარ საშუალებებით ეწარმოებია ბრძოლა ჩვენი ეროვნული სუვერენობის აღდგენისათვის. ეს ისტორიული აქტი საერთაშორისო უფლების და ყოველგვარ თვალსაზრისით ნათელი და უდავო იყო და ამ დღიდან მათ გარდაცვალებამდე საქართველოს სუვერენობის მატარებელია ნოე ყორდანია და მისი მთავრობა. სწორედ ამით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ მას შემდეგ თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო, რომლებმაც თავის დროზე ჩვენი დამოუკიდებლობა იცნეს,

ისევ ცნობდნენ პარიზში ჩვენს დიპლომატიურ ლევაციას და ნოე ყორღანის საქართველოს ლეგიონ-მურ მთავრობის პრეზიდენტად. ნოე ყორღანის უცხოეთში მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგად მეტად მძიმე მომენტები, მაგრამ მის ქართველ ერისაგან გადაცემული დროშა არ დაუხრია. ამ დროიდან ყველა მისი წერილობითი ნაშრომები, წარმოთქმული სიტყვები და მთელი მისი პრაქტიკული მოღვაწეობა ქართ. ერისათვის და კერძოთ ჩვენთვის, ქართ. ემიგრაციისათვის, წარმოადგენს მის პოლიტიკურ ანდერძს, რომლითაც ის მოგივრდებოდა განავარძოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენი ერის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლა. ყორღანია ყველა თავის ნაწარმოებში, თავის სიტყვებში ცდილობს მისცეს იმედი და გაძახევაბა ქართველ ერს, რომელიც მძიმე პირობებში ეგრე ხანგრძლივ ბრძოლას ეწევა რუსულ საოკუპაციო ჯარების და მათ მიერ ჩვენში დაწესებულ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1940 წლის თებერვლის ოთხს დამოუკიდებელ საქართველოს პრევიდენტმა, ნოე ყორღანამ, კიდევ ერთხელ განაცხადა: „ქართველ ერს ფლობს და ტანჯავს საბჭოთა რუსეთი. საქართველო არ შეურიგდა ამ მდგომარეობას და ებრძვის მის დამპყრობელ მოსკოვს. ამით ის ებრძვის ყველა მის მოკავშირეთ და დამხმარეთ, ვინც უნდა იყოს იგი. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ, არც ვართ, არც ვიქნებით, სტალინის და მისი დამცველთა მხარეზე, არც იდეურად, არც პოლიტიკურად, არც ნაციონალურად. ჩვენს შორის დიდი ხანია ხიდია გატეხილი, ბრძოლა გამოცხადებული“.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნიდან წარიღენდნენ ეროვნულ მთავრობის წევრნი და ჩვენი პრეზიდენტი ნოე ყორღანია, მაგრამ მან ჩვენ დაგვიტოვა მის ხანგრძლივ მოღვაწეობის დროს, სწრაფ და მეტად რთულ საერთაშორისო მოვლენებში შემუშავებული ეროვნული გეზი, ზედმეტ ღრმადი ზმისაგან თავისუფალი და გარკვეული პოლიტიკური დოქტრინა, ჩვენს თანამედროვე დემოკრატიულ ეპოქასთან საესებთ შეფარდებული. და თუ ქართველ ერს, დაპყრობილ-კოლონიალურ ერებს, რომელთა კატეგორიასაც ის ეკუთვნის, რასების და კონტინენტების განთავისუფლების ხანაში, ამ ჩვენს საუკუნეში უწყრია განთავისუფლება, ის ამას მიაღწევს ნოე ყორღანის ეროვნულ დროშის ქვეშ, რომელიც ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის სიმბოლო და ემბლემაა.

ნიკოლოზ ურუშაძე
ლეილი. დეკემბერი. 1977 წელი.

საქართველო და ნოე ყორღანია

11 იანვარს 25 წელი შესრულდა ნოე ყორღანის გარდაცვალებიდან, ხოლო 15 იანვარს 110 მისი დაბადებიდან. ეს ორი თარიღი დიდმნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიაში. თებერვლის რევოლუციის წინ, 30 წლის განმავლობაში წარმოებული რევოლუციონერული ბრძოლები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, დამოუკიდებლობის მოკლე, მაგრამ მდიდარი შინაარსის ხანა, საქ. ხელახალი დაბრობა და 32 წლის განმავლობაში, სიკვდილამდე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის წარმოება.

ჩატარდა ნოე ყორღანის მეთაურობით.

თამამად შეიძლება ითქვას: მეოცე საუკუნის პირველ ნახევრის საქართველოს ისტორია დაღდასმულა ნოე ყორღანის პიროვნებით.

რუსეთის რევოლუციამდე პერიოდში, 1890-1917 წლები, ნოე ყორღანის პიროვნებას ახასიათებს პოლიტიკური იდეალი, გადაწყვეტილების სიმტკიცე და არჩეულ გზის ერთგულება.

ამ დროს, ნოე ყორღანის და მისი პოლიტიკური მეგობრების, თანამებრძოლების (არ უნდა დავივიწყოთ: ნ. ყორღანის ბენდიერება ჰქონდა ელვაწა განსაკუთრებულ ადამიანებსწრფში. ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო კინდიაძე, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი, კონსტანტინე კანდელაკი, და კიდევ ბევრი სხვები დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწენი იყვნენ, რომელთა მზგავსნი საქართველოზე გაცილებით უფრო დიდ ერებსაც დაამშვენებდა.) ღირსება და დამსახურება ამოძრავება და ძხივნელოვან მასიურ პარტიად შეეკრა მდამიო ხალხის: მუშების, გლეხების, ხელოსნების, დაბალი ჩინის მოხელეების და წვრილი ინტელიგენციის, და ეს დარაზმელობა მათ აქციეს მძლავრ პოლიტიკურ ძალად. ახალგაზრდობის ეს მოძრაობა, რომ-




ლიც დიდმა პუბლიცისტმა ვიორჯი წერეთელმა მესამე დასად მონაღა, თავის რეკოლუციონურ ბე-
ძოლის ცენტრში აყენებდა პიროვნების სრულ განთავისუფლების საკითხს და ამის გამო სოციალური
სამართლიანობის დამყარება მიაჩნდა უმნიშვნელოვანესად. რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, ეს მის-
თვის მეორე ხარისხიანია იყო. როგორც კეჟმარიტი მარქსისტები, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ
სოციალისტური რევოლუცია, ექსპლუატაციისა და მისგან გამოწვეულ კლასების მოსპობა, თავისთავად
მოაგვარებდა ეროვნულ ჩაგვრის საკითხსაც.

მეორე ეტაპი ნოე ყორდანის მოღვაწეობისა იწყება რუსეთის თებერვლის რევოლუციით.
აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ ნოეყორდანია ზოგიერთ მის თანამებრძოლვით იმპერიის
ცენტრში კი არ მიემუტრება ხელისუფლების მოსაპოვებლად. არამედ საქართველოს სატახტო ქალაქში,
თბილისში და იქ იმ დროის აზიური თებულ ტალღებს თავში მიექცევა. ეს პოლიტიკური აზვირთება გა-
ხლდათ თბილისის მუშათა-გლეხთა-და-ქა არისკაცთა საბჭოების შექმნა, რომელიც თავის თავმჯდომარედ
ირჩევს ნოე ყორდანის დარომელიც ფაქტიური ბატონ-პატრონი ხდება საქართველოსი. მართალია ცო-
ტა ხნით, მაგრამ მინც, იმ ხანად შეიქმნა იმედი დავით აღმაშენებლის და თამარის დიდი კავ-
ასიური სახელმწიფოს შექმნისა. ამის შესაძლებლობას იძლეოდა ჩვენ მძლავრ მეზობლებში: რუსეთი,
თურქეთი, ირანი, გამეფებული ანატოლი. საქართველოს სოციალისტური პარტია, თავისი ინტერნაციო-
ნალური თეორიით და პრაქტიკით, იყო ის ბუნებრივი ძალა, რომელსაც ეს ახალი სასწაული უნდა
მოეხდინა, ეს დიდი ისტორიული მისია უნდა შეერსულეზა. სამუხარლო ეს იმედი ეფემერული გა-
მოდგა და კავკასიის შემადგენელ ერთ-პარტიკულარიზმის მოილოდულ გზაზე უმაღვე დაიმსხვრა.

ამ კავკასიის სემის სიკვდილის შემდეგ, მტლად რთულ და საბედისწერო ვითარე-
ბაში, რომელიც შეიქმნა თურქეთის ჯარების თავდასხმის შედეგად და მისგან ჩვენი ქვეყნის ოკუპა-
ციის საშინოებისაგან, ერთადერთი ნავთსაყდარი იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.
ერის ყველა საციოცოცხლო ძალები მხარდაჭერით, საყოველთაო-სახალხო აღტკინების ვითარებაში,
26 მაისს 1918 წ. საქ.ეროვნული საბჭო, ნოე ყორდანის თავმჯდომარეობით საჯაროდ აცხადებს სა-
ქართველოსი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს. აი ამ მომენტიდან მოყოლებული, ნოე ყორდანია
იწამებს ქართველი ერის დამოუკიდებლობის არა მარტო საქიროებას, არამედ მის აუცილებლობასაც
და მთელ მის ნიქს, უნარს და ენერჯის ახმარს ამ საქმეს. საქართველოს დროებითი მთავრობის
თავმჯდომარის პოსტზე ის შეტევის ნოე ჩამიშვლის და აქედან მოყოლებული სიკვდილამდე ის იყო
საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფალი.

მხოლოდ სამი წელიწადი იარსება დამოუკიდებელმა საქართველომ ნოე ყორდანის მეთაუ-
რობით, მაგრამ იგი ვაცილებით უფრო მდიდარი და დიდმნიშვნელოვანია თავისი შინაარსით. შეუძ-
ცდარი ხელისუფლება ჯერ არასად არასოდეს არ არსებულა და ამ წესის ნოე ყორდანის მთავრობაც
ვერ აცდებოდა. ამ შეტეომების ობიექტური აღნუსხვა და საფუძვლიანი შესწავლა ძალიან საჭირო
და სასურველია, მაგრამ აქ ამისათვის არც საშუალება გვაქვს და არც ადგილი. დადებითი და
პოზიტიურის აქ ჩამოთვალე შორს წაგვიყვანს და მხოლოდ ზოგიერთ და ისიც მთავარის აღნიშვნით
უნდა დავგვიყოფილდე. საქართველოს თვითმმწიფების განხორციელების შემდეგ, უმთავრესი, რო-
გორც აქვე სამართლიანად ბრძანებს ნიკოლოზ ურუშაძე, კეჟმარიტი დემოკრატიული წესწყობილე-
ნის დაფუძნება იყო და ის თავისთავად გულისხმობს სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას. იმ დროინდელ
გარემოებაში საქართველო გვეჩვენება, როგორც თავისუფლების ოაზისი. ლენინს და მერე სტალინი-
საგან განსხვავებით, ნოე ყორდანის ტერიორი არ უწარმოებია თავისი ავტორიტეტის დასამყარებლ-
ად, ამისათვის საკმარისი გამოდგა მისი პირადი თვისებები, ღირსებები და ადამიანური მაგნეტიზმი.
მთლიანად ქართველ ერის სიმწიფესთან ერთად, ნოე ყორდანის მთავრობის აქტივში უნდა ჩაიწეროს
ის, რომ: საუკუნოების განმავლობაში დაყოფილი ქვეყანა უმტკინეწულოდ ერთ სახელმწიფოდ გაერ-
თანდა, ქართულმა ენამ, ქართულმა კულტურამ მიიღო მძლავრი ბიძგი დამოუკიდებელი, თავისუფ-
ვადი და თავისებური განვითარებისა. გაუქმდა წოდებები. ერთიდაიგივე უფლებებით და მოვალეობე-
ბით მჭიდროდ შეკავშირებული ერთ შეულდა თანამედროვე და მოწინავე სახელმწიფოს შენებას და
თავისი პოლიტიკური და სოციალური მონაპოვრებით ერთერთი პირველთაგანი იყო იმ დროინდელ მსო-
ფლიოში. ნოე ყორდანის მოწინააღმდეგენი არ აკლდა ქართველებში, არც მისი პარტიის შიგნით,
არც განსაკუთრებით მოწინააღმდეგე პარტიებიდან, მაგრამ არც ერთს ის არ დაუმარცხებია, არამედ



უცხო, საბჭოთა რუსეთის ჯარებმა. მათ წინაშეც ნოეფორდანიამ თავი დამარცხებულად არა განიხილა ჩვენი ეროვნული პარლამენტის მიერ ხელახლად საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებით შექმნილ სტოვეებს სამშობლოს, დამყარებულ მტრის წინააღმდეგ ბრძოლა აგრძელებს უცხოეთიდან და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან 85 წლის მოხუცი მტრისთვის „ამანი“ არ უთხოვია, განმთავისუფლებულ ბრძოლის დროსა არ დაუხარია, ქართველ ერის მომავალში ეჭვი არ შესვლია.. 25 წლის წინად მისმა ნეტარმა სულმა ჩვენი ერის უკვდავ მიორნცხებულთა შორის დაიდვა ბინა, ხოლო ნეშტი მისი საფრანგეთის დევნილთა შედგარველ მიწაში, სოფელ ლევილის სასაფლაოზე, დღესეც მოუთმენლად ელის მამადავითის თავისუფლების მაცნე ზარების რეკვას.

გიორგი წერეთელი

XXX XXX XXX XXX

ს ა ბ კ ო თ ა ტ ი რ ა ნ ი ის ს ა მ ო ც ი წ ლ ი ს თ ა ვ ი

ეს-ეს არის მიწყდა ზარ- ზეიმი საბჭოების უზარმაზარ იმპერიაში. არა მარტო საბჭოებმა, არამედ თითქმის მთელმა კაცობრიობამ აღნიშნა რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების სამოცი წლისთავი და რა თქმა უნდა, ყველამ თავისებურად შეაფასა მისი არსი და ბუნება. თუმცა არაკომუნისტურ სამყაროსათვის უდავოა, რომ 1917 წლის სახელმწიფო გადატრიალება იყო რეაქციული მოვლენა და მის შედეგად შექმნილი რეჟიმი საშინლად მავნე, როგორც რუსებისათვის ისე დანარჩენ კაცობრიობისათვის. დღეს, თვით თავისუფალ ქვეყნების კომუნისტური პარტიებიც კი, იტალიიდან დაწყებული იაპონიამდე, უარყოფენ საბჭოთა სახელმწიფოს მოდელს, ახალ გზებს და საშუალებებს სთავაზობენ თავიანთ ხალხებს. ამას ისინი სჩადიან არა იმიტომ, რომ ამ პარტ ტიების ლიდერებმა თავად განიცადეს ევოლუცია, არამედ უფრო იმიტომ, რომ იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ საზოგადოებრივ აზრს, ხოლო საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა რეჟიმის შესახებ, ამ სამოც წლისთავზე კატასტროფულად ცუდია. ის იმდენად ცუდია, რომ ეგრედ წოდებული პროგრესისტები, რომლებიც წინად გმობდნენ საბჭოურ მეთოდებს, მაგრამ პოზიტიურად მიაჩნდათ საბჭ. კავშირში განხორციელებული ეკონომიური და სოციალური ცვლილებები, დღეს დადებითს და მისაბამს სრულიად ველარაფერს ნახულობენ. საბჭოთა რეჟიმზე ასეთი აზრის გაბატონება დასავლეთში ახალ ამბავია, ის თანდათანობით განვითარდა ამ უკანასკნელ ათ წელიწადში და მას ხელი შეუწყო ჯერ ადამიანურ სახის კომუნისტურ რეჟიმის მქონე ჩეხოსლოვაკიის უხეშმა ოკუპაციამ და შემდეგ საერთაშორისო დეტანტმა მოახდინა თავისი გავლენა, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო ოდნავ მაინც გაეღო მისი სახელმწიფოს მანამდე სრულიად დახშული კარებები. იქამოგაზურმა ტურისტებმა და საქონსენებმა საკუთარი თვალებით ნახეს საბჭოთა ადამიანების სიღატაკე და უუფლებობა, ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა, რელიგიის და თავისუფალ აზროვნების სასტიკი დევნა-შევიწროება. დაბოლოს, მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრზე დიდი გავლენა მოახდინა თვით საბჭოების წიაღში შობილმა ოპოზიციამ, რომელმაც დიტარუნა რა ნახევარ საუკუნის განმავლობაში გაბატონებული პირუტყველი შინი, ხმა აიმაღლა საბჭ. ხელისუფლების ცბიერების,, სიცრუის, ვერაგობის და დაუნდობლობის წინააღმდეგ. თვითგამოცემების საშუალებით ამხილა იგი, როგორც შეიგნა, ისე საერთაშორისო აზრის წინაშე. სახაროვი, სოლენენიკინი, ჭალიძე, ბუციუკი, პლიუშჩი, გამსახურდია, კოსტავა, ფილოძე, პანინი, მაქსიმოვიდა ასობით სხვა მათი თანამებრძოლები არიან ის მნათობები, რომლებმაც თავიანთი მძლავრი სხივები მიაბყურეს და მით ნათლად გამოაჩინეს საბჭ. რეჟიმის წუშავე, გულაგებით და ფსიქიატრულ საპატიროებებით. ამრიგად, საბჭ. ხელისუფლების გაკოტრება ამ სამოც წლისთავზე სრული და საბოლოოა. კრემლის ზეიმები, ფსალმოიდები და ცრუ პროპაგანდა, კრემლის ხაზინებშივით დაბერებული და მოკვეთილი, დღეს ველარავითარ სარგებლობას ვეღარ მოუტანს ბრეჟნევის კამპროლიას. ერთად ერთი დამაჯერებელი საბუთი მათ გააჩნიათ კბილებამდე შეიარაღებული ჯარი და პოლიცია, ატომური და თერმობირთვული ბომბებით აღჭურვილი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ნაწილები, მაგრამ მარტო საშხნდრო კალებს დაყრდნობილი რეჟიმი საბოლოოდ განწირულია. რაც შეეხება ლენინის ოცნებას, მისი რევოლუციისათვის საკაცობრიო ხასიათი მიეცა, ის მასთან ერთად განისვენებს წითელ მოედნის სარკოფაგში.

შვიდ ნოემბრის დღეებში საფრანგეთში ჩაატარეს საზოგადოებრივ აზრის გამოკითხვა. მხოლოდ ერთმა პროცენტმა განაცხადა, რომ სასურველად მიაჩნია საფრანგეთისათვის საბჭოების მსგავ-



ესი წესწყობილება. ევეი არ არის, სსრკ-ს მოქალაქეებს, რომ შეეძლოთ ასევე თავისუფლდნენ. ჩვენის გაკეთება, არც იქ აღმოუჩნდებოდა მეტი მომხრე ლენინი ილიჩის „ვანვითარებულ ზმის“ საბჭოურ რეჟიმს. ერთმა მაღალი თანამდებობის საბჭოთა მოქალაქემ, რომელიც თავისი თანამდებობის გამო ხშირად მოგზაურობს დასავლეთში, კრებულ „ექსპრესს“ კორესპონდენტს განუცხადა: „ოქტომბრის რევოლუციას თითქმის ყველა წყევლის, გამონაკლისია თვით ლენინი ბრენენგი, მსხვილი ბიუროკრატები და კავებისტები“

მიუხედავად საგოგადობრივი აზრის საკმარისად გათვითცნობიერებისა, კიდევ არსებობს ზოგიერთი საბჭოური მითი რომლებსაც გაფანტვა ესაქიროებათ.. მაგალითად არსებობს გავრცელებული აზრი ვითომც საბჭოთა ხელისუფლებას შემკვიდრობით მიეღოს უფარესად ჩამორჩენილი ქვეყანა და მას არაფრისაგან შეექმნას თანამედროვე მძლავრი ინდუსტრიალური ქვეყანა. სინამდვილეში, რუსეთის იმპერია მართლაც იყო ინდუსტრიალურად უფრო ჩამორჩენილი ვიდრე ამერიკის შ. შ. შ. და დასავლეთი ევროპა, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს რუსეთმა სწრაფი ტემპით იწყო განვითარება, განვითარების ტემპი კიდევ უფრო გაიზარდა 1900-1913 წლების განმავლობაში. ამ ფაქტს ქალაქების მოსახლეობის ზრდაც დასტურებს. ამ პერიოდში მან მთელი მოსახლეობის 12.8 პროცენტადან 17.7 პროცენტამდე გაიზარდა (14.1-დან 24.7 მილიონამდე), ხოლო გამომუშაებულ პროდუქციის ნამატმა იმავე დროს მონაკვეთში ორმოცდაექვსი პროცენტი შეადგინა. ამრიგად სპეციალისტები ევროპაში იმ დროს ვარაუდობდნენ, რომ 1950 წლისთვის რუსეთი ინდუსტრიალურად დაეწეოდა ევროპა-ამერიკას. რა მდგომარეობაა დღეს? ოქტომბრის გადატრიალების სამოც წლისთავზე საჭოთა კავშირის ნაციონალური პროდუქტია 42% შეადგენს ამერიკის ეროვნულ პროდუქციისას. მხვევლომიდან არ უნდა გამოუშვათ, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 20%-ით მეტია ვიდრე ამერიკის შ.შ.შ.ს. და ეს გახლავთ სწორედ იგივე თანაფარდობა რაც ამ ორ ქვეყანას შორის არსებობდა ამ ასიქილდმეტ წლის წინად. ამერიკაში ათჯერ მეტი ორდინატორია ვიდრესსრკ-ში. ამერიკა წელიწადში უშვებს 7.9 მილიონ მსუქმე ავტომობილს, საბჭოები 12.39 ათასს. ამერიკა წელიწადში უშვებს 2.734 მილიონ სატვირთო ავტომობილს, საბჭოები მხოლოდ 786.000. და ასეთი შედარებებიდან შეგვიძლია ვაწარმოთ. შედარება კიდევ უფრო კატასტროფიულია სოფლის მეურნეობაში, საბჭოთა კავშირის ცხოვრება აღარ შეეძლოა ჩრდილოეთ ამერიკის და დასავლეთი ევროპის მარცვლეულის და საერთოდ დასოფლო სამეურნეო პროდუქტების გარეშე. საბჭოთა სოფლის მეურნეობის სისტემის სრულ უფარვისობის საჩვენებლად საკმარისია ვთქვათ, რომ ერთი ამერიკელი აგროკულტორი არაჩენს ორმოცდაცხრა კაცს მაშინ როდესაც მისი კოლეგა საბჭოში მხოლოდ შვიდს. თუ ამას ლავუმტებთ, რომ მსოფლიოში მეცნიერულ აღმოჩენების და ტექნიკური გამოგონებების 80-90% მოდის ჩრდილოეთ ამერიკის და დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებზე და მხოლოდ ათიდან ოც პროცენტამდე დანარჩენ მსოფლიოზე, რომელში საბჭოთა კავშირიც შედის, მაშინ საბჭოთა ხელმძღვანელების ბაქიბა „გაუფონარ მილწვევებზე, მეტი თუ არა აფსურდი და დასაცოლა. ეხლა შევვებით მეორე უზამარს, რომლის მიხედვითაც თითქოს რუსეთი მუდამ იმართებდა ტრანსულ-დესპოტურწესით, იგი შეეცავლა საბჭოებმა და რომ თითქოს ეს გასამართლებელი საბუთი იყოს ლენინის და მისი შემკვიდრების დიქტატურების. მართალია, რომ რუსეთში აბსოლუტური თვითმპყრობელობა ბატონობდა, მაგრამ კანბიტალიზმის სწრაფი განვითარების შედეგად, ლიბერალურ ბურჟუაზიის და ინტელიგენციის ზემოქმედების შედეგად, უკანასკნელ ორ ათეულ წლის განმავლობაში, პირველ მსოფლიო ომის წინ, მან დიდი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცვლილებები განიცადა. დაიწყო ისეთი ნაწილი დემოკრატიზაცია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მეორეამეტე საუკუნის ინგლისში და მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთში. შეიქმნა სხვადასხვა პარტიები, დაარსდა ქალაქების თვითმართვლობები, არჩეულ იქმნა პარლამენტი დემის სახელწოდებით. 1913 წლისათვის რუსეთი იყო დემოკრატიულ განვითარების შუა გზაზე. ომმა ეს პროცესი უზომო სისწრაფით ააქქარა, ნიკოლოზ მეორე იძულებული იყო გადადგარიყო. ომის ქარცხცხში გახვეულმა უზარმაზარმა ქვეყანამ უეტრად მიიღო ის პროცესებიანი პოლიტიკური თავისუფლება ისე, რომ მას არ დაუტოვა ის აუცილებელი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც სუბაბეზად გამოადგებოდა ქვეყანას აბოიუქრებულ რეაქციულ ძალების შესაკავებლად. აღენ ბეზანსონის არ იყოს, იმ კრიტიკულ მომენტში, რუსეთს, არ აღმოაჩნდა, არამც თუ სათანადო დემოკრატიული ჩარჩოები, არამედ მან ვერ შეა თავის წილიდან ისეთი ძლიერი პიროვ-

ნება, როგორც იყო ინგლისისთვის კომპლექსი, საფრანგეთისთვის ნაპოლეონი და პოლონეთისთვის კომპლექსი. რაც შეეხება ლენინს, მან მთელი მისი ცული გენია მოახმარა სწორედ ამ ამოცანის დასაძრავად. მისი მტკიცე დასაძრავება. დემაგოგიურ ლოზუნგებით და შექმნილებით ბოლშევიკებმა, ლენინის და ტროცკის მეთაურობით, 25 ოქტომბერს ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, რომანოვების გვირგვინი და სკიპტრა ქუჩიდან მოიტაცეს და თვითნებურად მიითვისეს. როცა ამ საბედისწერო ახსენებ ფიქრობ, შეუძლებელია არ დაეიანხმო ალ. სოლჟენიცინს, "ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება, რომელიც უპირველესად მიეწვევება ლენინის სტრატეგიის უმჯობეს გენიას და მისი უმწინააღმდეგეების სისუსტეს, იყო უდიდესი მარცხი საერთაშორისო დემოკრატიის და უშეგებელი უბედურება რუსეთის და ას მილიონობის აღმოსავლეთ ევროპის ხალხებისათვის". მე დავუბრუნებ: ის იყო არის და რჩება მთელი კაცობრიობის უდიდეს უბედურებად. ის იყო მიზეზი ჯერ იტალიაში ფაშისმის და შემდეგ გერმანიაში ნაცისტების გაბატონების, მის მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისთვის, საბჭოთა ხელისუფლების მიზეზით კაცობრიობას განუწყვეტელი თავს დასტრიალებს ატომური ბომბების აპოკალიპსი.

ლენინის „სოციალისტური რევოლუცია“ სახეა პარადოქსებით. ის მოვიდა პროგრესის ლოზუნგით. მან მოიტანა რევრესია. ზავი და მშვიდობა დაჰპირდა ომით განაწყენებ ხალხს, მან დასაბამი მისცა სამოქალაქო და საერთაშორისო ომებს, პოლიტიურ ხოცვა-ჟლეტას, რომელსაც შეეწირა სამოცი მილიონი რუსი და ალბათ არანაკლები არარუსი. ლენინმა მიწა დაჰპირდა გლეხებს, საბჭოთა ხელისუფლებამ სულეველს წაართვა მიწები. პური დაჰპირდა დამშულებებს, საბჭ. ხელისუფლებამ ყველას თავს დაატეხა ჯაღოგონარი შიმშილი. რაც სამოცი წლის შემდეგ, დღესაც გრძელდება. ლენინი 130.000 მსხვილ შესაკუთრისაგან. განთავისუფლებას ჰპირდებოდა რუსეთის ოქტომბერმა ჯერ 240.000 ბოლშევიკი გააბატონა ძის მაგივრად, შედეგ, ლენინის ღირსეულმა მეგობრად, სტალინმა, ისინიც განანდგურა ფიზიკურად და შექმნა პიროვნული ტირანია. მიუხედავად სტალინის სიკვდილისა, ეს ტირანია დღესაც გრძელდება ბრეჟნევის და მის ერთ მუქა შეიქმნულების მიერ. ლენინმა, როგორც მარქსისტმა მშრომლებს გამდიდრება და სოციალურ-პოლიტიკური თანასწორობა აღუთქვა. ამ საკითხებს საჭიროა უფრო დამწვრილებით განმარტება. ჩემს ხელთ არის მსოფლიო ბანკის 1976 წლის სტატისტიკა თითო სულზე წლიურ შემოსავლის შესახებ, საბჭომწიფოების მიხედვით. ამ დღეებში საფრანგეთში გამოქვეყნდა ხელფასების ცხრილი საფრანგეთს და მსოფლიოს უმთავრეს სახელმწიფოებისთვის. ამ უტყუარ მონაცემების მიხედვით, საბჭ. კავშირის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი სამჯერ ნაკლებია ამერიკის შ.შ.მ-ისაზე და ორჯერ ნაკლებია საფრანგეთისაზე. ამრიგად, მიუხედავად საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ბუნებრივი იმედობისა, და მისი მაღალკვალიფიციური მუშახელის დაუზოგავი ყველვისა, საბჭოთა კავშირი ძალიან შორსაა წლიური საშუალო ხელფასის გამომუშავების მიხედვით, ლიბერალურ წარმოების მქონე ქვეყნებთან შედარებით. საბჭოთა კავშირში, რომ შედარებით სიღატაკეა ამას თავდაც ვეღარ მალავენ, მაგრამ საინტერესოა შევადაროთ სხვადასხვა კატეგორიის მოსამსახურეების ხელფასებს თანაფარდობა. უმდაბლეს და უმაღლეს ხელფასებს შორის თანაფარდობას წოდება კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი ამერიკის შ.შ. და კანადაში უდრის 24ს. საფრანგეთში 15ს. იაპონიაში, ავსტრალიაში და შვეიცარიაში კი ის უდრის 10-დან 12-ამდე. ცნობილია, რომ კომუნისტურ ჩინეთში გამომუშავებულ პროდუქციის რაოდენობა ყველაზე დაბალია და მაშასადამე ცხოვრების დონეც, მაგრამ თანასწორობის პრინციპით თითქოს იქ ყველაზე უკად იყოს დაცული, თუმცა ამის თაობაზე იქიდან ოფიციალური ცნობების მიღება შეუძლებელია. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოებში? საბჭოთა ხელისუფლება ამის შესახებ ცნობებს მალავს და აგვიცლებს მითს სოციალურ სამართლიანობის მქონე საზოგადოების შექმნის შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს გასავალი ზოგიერთ წრეებში. საკითხის შესასწავლად უნდა მივმართოთ კერძო წყაროებს. ამ მხრივ კარგ სამსახურს გვიწევს ანდრეი სახაროვის „სტრანა ი მირ“ და „საქ. მოამბეში“ დაბეჭდილი ყარამან ლაბაძის სტატია „უბრალო არითმეტიკა“ საბჭოთა კავშირში ამჟამად მინიმალური ხელფასია სამოცი მანეთი თვეში. მეცნიერების დოქტორები, მსხვილი წარმოების დირექტორები, მაღალი რანგის პარტიული ადმინისტრატორები და სამხედრო მოხელეები თვითურად იღებენ 550-600 მანეთს. ასეთი ჯამაგირებითაც, არსებულ ფასების პირობებში, ნორმალური ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ მაინც შეფარდება უმდაბლეს და უმაღლეს ხელფასს შორის უდრის ათს ან ცხრას მაინც. კომპარტიის ნომენკლატურა, მსხვილი ბიუროკრატია, კვბ-ს მოხელეები და სხვა



საბჭოთა რეჟიმის დასაყრდენ თანამდებობების პირები ხელფასების გარდა სარგებლობენ სპეციალური სამომხმარებლო მალაზიებით, სადაც ყველაფერი შეუძლიათ შეიძინონ უიაფეს ფასებში და მსგავსი საჭინელი ხარისხით სიზარმარია არ დავსიზმრებთა რიგით საბჭოთა თავისი მძღლოით, მიღწევის მიუმატეთ სახელმწიფოს ხარჯზე მათთვის განკუთვნილი ავტომანქანა თავისი მძღლოით, მიღწეული ბინები და სოფლად აგარაკები, რომელთა ზუსტი ღირებულება ძნელია გამოიანგარიშო, მაგრამ ეს დამატებითი შემოსავლები ორჯერ მეტი მანც არის მათი ხელფასის და ვადაუქარბებლად შეგვიძღლია ვთქვათ, რომ უმცირეს და უმაღლეს რეალურ შემოსავლს შორის, საბჭ. კავშირში, არსებობს 25-დან 30-ამდე თანფარობა. ე.ი. საბჭოთა დარჩავის, მალაზიის გაწყიდვის, დამღავგების და ბევრ სხვა კატეგორიების მშრომელთა ხელფასი (და მათ შემოსავლის სხვა წყარო არ გაანჩინათ) თუ მეტით არა ოცდა ათჯერ ნაკლები მაინცაა ვიდრე პარტიულ ბობოლა მოხელეების და მამასადადამე რეალური სოციალური უთანასწორობა საბჭოებში მეტი თუ არის თორემ ნაკლები არა ვიდრე მის მიერ გაეციხულ კაბიტალისტურ ქვეყნებში. მატერიალურ ღოვლათთან ერთად ეს პრივილეგიური წრე განავატბთ მელი ქვეყნის ბეღიბლას. მათ ეგოძტურ ანგარიშში შემდს რეჟიმის დაცვა და მით თავიანთი ბატონობის შენარჩუნება. იღვალი კი მათ უკვე აღარ გაანჩინათ. იღვლოგის ისინი იყენებენ ფასადის შესახამებლად, ბრიყვების უკედ ვასაბრიყვებლად. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ან. სახაროვი, ეს პრივილეგიური მღგომარეობა მამიდან შეიღზე გადადის, -სამუშალო საუკუნეების მსგავსად მეშკვიდრებობთ ხასიათს ღებულობს. ბრენევის შვილი სავარტო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე და ღიდ მომავალს უწიხასწარმეტყველებენ, კოსიგინის სიძე, გვიშიანი, მთავრობასთან არასებულ ერთ მეტად მნიშვნელოვან უწყების ხაზენიათ, ხლო ნიკიტა ხრუშჩოვის სიძე, აჯუბეი, სანანა სიმამრთან ერთად შეირისხებოდა და მოსკოვიდან გაძეგდებოდა, ვაზ. „პრავდის“ მთავარი რედაქტორი და დიქტატორ სიმამრის „ემინანს გრიზი“ იყო. ასეთ მავალითებს დინტერესებული პირი არა ერთსა და ორს აღმოაჩენს საბჭოთა ცხოვრებაში.

დასკვნა: ოქტომბრის გადატრიალებში შედეგად მოხდა რუსეთის იმპერიის ძველი მართველი საზოგადოების განადგურება ეკონომიურად, პოლიტიკურად და ფიზიკურად, მათი ადგილი დაიკავა ახალმა ოლიგარხიამ. ამ ერთი მუქა ადამიანების ხელთაა საბჭოთა კავშირის უზარმაზარი იმპერია, მისი 260 მილიონ მოსახლეობით. ეს ვაგებატონები სუკერენულად განავებენ ქვეყნს და მოსახლეობის ნივითერ ღოვლათს, 260 მილიონ ადამიანის შრომას, სიცოცხლეს, სიკვდილს და სულს. ასეთი უსამველო უსამართლობის მოსასპობად საჭიროა რევოლუტია და არა ევოლუტია. საბჭოების ოპოზიციამ კი არ უნდა იჩინრკედელაოს მარტო ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნებით, რაც ხშირად გაუგებელი რჩება მსახეისთვის, არამედ აქტიური ბრძოლა უნდა გაანჩინოს მსახეისთვის კარგად ვასაგებ სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლების და დემოკრატიულ წესწყობილების მოსაპოებლად.. ამ სამოცი წლის შემდეგ მაინც უნდა შევიგნოთ, რომ უაზროა მგლის თავზე სახარების კითხვა.

გ. პალეო.

ფსიქიატრული ტერორის დაგმობა

1977 წლის აგვისტოს თვის ბოლოს, პონოლულუმი(პავაი), ჩატარდა ფსიქიატრთა მეექვსე საერთო შორისო კრილობა, რომლის დღისწესრიგში იღვა ფსიქიატრიის მავნელ გამოყენების პრაქტიკის დაგმობა. ინგლისი, კანადას, ავსტრალიის, საფრანგეთის ამერიკის და სხვა ქვეყნების ფსიქიატრებმა, საბუთებთ ხელში, ამხილეს საბჭოთა კავშირში ფართედ გავრცელებული პრაქტიკა განტრიალად ჯანსაღ ოპოზიციონერების წინააღმდეგ სპეციალური ფსიქიატრული „მყურნალობის“. ზოგიერთმა მეზობელმა და პატარა სახელმწიფომ ვერ ვაბედა საბჭოების აშკარად დაგმობა, ამიტომ რეზოლუციის მიღებამ მწვავე ხასიათი მიიღო. საბოლოოდ მაინც, 90 ხმით 88-ს წინააღმდეგ, ყრილობამ დაგმო საბჭოთა კავშირი ფსიქიატრიის ცოდნის და მოწყობილობების გამოყენებისთვის, ოპოზიციის თავიანთ მშობრების მიხნით. აღსანიშნავია, რომ საბჭ. ფსიქიატრიის წარმომადგენლებმა ყრილობის ეს დადგენილება გამოაცხადეს, როგორც ამერიკის სადაზვერო პოლიციის(ს.ი.ა.) მიერ მოწყობილი პროვოკაცია, მაგრამ ორგანიზაცია არ მიატოვეს, როგორც ამას შიშობდნენ.

საბჭ. კავშირში წარმოებული ფსიქიატრული ტერორი ასევე დაგმო ჰიგენის მსოფლიო ფედერაციამ და მოუწოდა საბჭ. მთავრობას განთავისუფლოს ფსიქიატრულ პატიმრობაში მყოფი დისიდენტები.

ფსიქიატრთა ჰონოლულუს ყრილობაზე და მის შედეგებზე დიდი გავლენა მოახდინა საბჭ. კონფერენციის ალექსანდრე პოდრაბინეის წიგნმა: „დამსჯელი მედიცინა“, რომელშიც დაწვრილებით განხილულია თვითმკურნალობის მეთოდები ადამიანების მიმართ საგეიეთში დამწყვერვის. ასევე დაუფასებელი სამსახური გასწია, საბჭოთა ფსიქიატრიის, როგორც რეპრესიის საშუალების დასაბუთებისათვის, ინგლისში გამოსულმა წიგნმა: „ფსიქიატრიული ტერორი“, რომლის ავტორებია ფსიქიატრი სიდნი ბლოკი და ეკონომისტი პიტერ რიდლევი—

ფსიქიატრთა ყრილობის პარალელურად, ჰონოლულუმშივე, გაიმართა საბჭ. კავშირიდან გადმოსახლებულ ახალ ემიგრანტთა კონფერენცია. მას, სხვათა შორის, დაესწრნენ ლეონიდ პლიუშჩი, რომელმაც თავის თავზე გამოცადა საბჭოთა ფსიქიატრიის სიკეთე, და მარინა ვიხინსკაია, საბჭოთა ფსიქიატრი ლენინგრადიდან, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ლონდონში. კონფერენციაზე გამოსულთა ვარაუდით, სულ ცოტა ათასამდე საბჭოთა ოპოზიციონერი იმყოფება სპეციალურ ფსიქიატრულ პატიმრობაში. ასეთივე დასკვნამდე მივიდა ამნისტი ინტერნაციონალ—

გიორგი ჯაყელი
ხიუ-იორკი.

სახაროვის საერთაშორისო მოსმენა

(გულნარა ურატაძის კორესპონდენცია რომიდან)

1977 წლის 25 - 28 ნოემბრის დღეებში რომში ჩატარდა ე.წ. სახაროვის საერთაშორისო მოსმენა. ის დაარსდა ორი წლის წინად აკადემიკოს ან. სახაროვის ინიციატივით, ამიტომ მას უწოდეს სახაროვის სახელი და ის მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების ცხოვრებაში გატარების თუ დარღვევის შემოწმებას როგორც საბჭ. კავშირში ისე მის თანამგზავრ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში •

მოწვევებს შორის ვხედავთ უკვე საქვეყნოდ ცნობილ დისიდენტებს: ლ. პლიუშჩს, ვალენტინა ტურჩინას, ტატიანა ხიდლოვას, ლიუდმილა ალექსეევას, ენრიკო ლიუბარსკის, ან. სინიავესკის და სხვებს. სხდომებს ესწრებიან „საქართველოში ჰელსინკის შეთანხმების ცხოვრებაში გატარების სამეთვალყურო საფრანგეთის კომიტეტის“ წევრები: დარეჯან ბერეკაშვილი, გურამ გომელაური და ოთარ ზურაბიშვილი (თავმჯდომარე), ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას ფრანგი ვექილები: პატრიის მერვილი და ფრანსუა მორგეტი. სხდომებში აგრეთვე მონაწილეობა მიიღო ახლად დასავლეთში დარჩენილმა ქართველმა ფსიქიატრმა ავთანდილ ჰაპიაშვილმა

სხდომამ პირველად მოისმინა პასტორის ჩვენება გერმანიის დემოკ. რესპუბლიკაში ეკლესიის მდგომარეობის შესახებ და შემდეგ ბაპტიტი მღვდლის, ნიკოლა კლასხელის ჩვენება, რომელმაც ეს ეს არი და ტოვა საბჭოთა კავშირი და რომელმაც ათი წელიწადი გაატარა შრომის ბანაკებში მისი რწმენის გამო. მამა ნიკოლაიმ სასამართლოს მოახსენა, რომ სსრკ-ში არ სრულდება კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც რწმენის თავისუფლებას ამტკიცებენ. დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა კარდინალ სლიპის გამოჩენას, იგი ვახლავთ დენილობაში უკრაინის კათოლიკურ ეკლესიის მამამთავარი. კარდინალის მდივანმა მოსმენას წაუეთხა იტალიურად კარდინალის მიმართვა, რომელშიც ის მოუწოდებს კაცობრიობას და მსოფლიო ქრისტიანობას გააძლიეროს ბრძოლა რწმენის თავისუფლებისათვის ყველგან და კერძოდ უკრაინაში. დარბაზში მყოფი პლიუშჩი მზურვალედ მიესალმა კარდინალს. სხვათა შორის მან უთხრა: „თქვენ ბრძანდებით უკრაინედ ხალხის მებრძოდ სულის სიმართლა. თქვენი სახელი მაგალითის მიმცემი იყო და არის დღესაც მრავალ პოლიტატიმარისათვის, რომლებიც გამოიწვედნენ არიან ბანაკებში, საპატიმროებში და ფსიქიატრულ საავადმყოფოებში“. კარდინალს აგრეთვე მიმართა ქალ-მა ალექსეევამ და მოითხოვა რწმენის თავისუფლების უფლება უკრაინელებისათვის. მოსმენის დამსწრთა დიდი ინტერესი გამოიწვია პოლონეთში არალეგალურად გადაღებულმა ფილმმა. ფილმში ნაჩვენებია პოლონელ მეშენის და ეკლესიის მსახურთა კოფა-ცხოვრება. რეგეიის თავისუფლების დარღვევებზე ილაპარაკეს ლიტვიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და რუსეთიდან მოსმენილ იქმნა საბჭ. კავშირიდან ჩამოტანილი მავნიტოფირი - მღვდელ იაკუნინის მოწოდების რელიგიის დენის შესახებ. სახაროვის მოსმენამ დიდი ადგილი დაუთმო ანტიებრატულ შემთხვევებს. უკანასკნელ დღეს, შაბათს, 28 ნოემბერს, ჯერ მოისმინა, სხდომამ, საბჭ. კავშირში ჰელსინკის შეთანხმებათა შესრულების ხელშეწყობ ჯგუფის წევრის ალექსანდრე ვინზბურგის ამერიკელი ვექილის ჩვენება. მან



დამწერებს მოაგონა ალ. ვინზბურგის დაბატირების ვარემოებები და აღნიშნა, რომ ვინზბურგის დაბატირება უკანონოა და უკანონოა აგრეთვე მისი პატიმრობაში გაჩერება, რადგანაც ვინზბურგის მდე არ წაუყენებიათ რაიმე ვარკვეული ბრალდება. აღვოცატმა კრეიტმა აღუშმატა, რომ მან ხელი მოკიდა ვინზბურგის დაცვას, რადგანაც ბრალდებულს არ აქვს შესაძლებლობა საბჭ. კავშირში მიუღვომელ ვეჭოლის აყენანს, რომ მან ორჯერ მიიღო უარი მოსკოვიდან ვინზბურგის დაცვის ნებართვაზე და, რომ, თუ დანაშაულად ითვლება, საბჭ. კავშირში, ხალხის დახმარება, მაშინ ალ. ვინზბურგე და მანაშავია. თუ საბჭ. კავშირში დანაშაოლად ითვლება თავისუფლების და აღამიანის უფლებების დაცვა, მაშინ ალ. ვინზბურგე დამნაშავეა. მხოლოდ ეს არის მისი დანაშაული. მეტრ კრეიტის შემდეგ, სხდომამ მოისმინა ალ. ვინზბურგის ოჯახობის, გალინა ვინზბურგის მიმართვა, რომელმაც მადლობა გამოუცხადა ყველას დასავლეთში, რადგანაც: „დასავლეთის საზოგადოებამ ყველაფერი გააკეთა ვინზბურგის და სხვა საბჭოთა დისიდენტების დახმარების საქმეში“. ამის შემდეგ სხდომამ მოისმინა იური ოროვიის და შჩარანსკის საქმე. მათმა დასავლეთელმა დამცველებმა გამოთქვეს იმედი, რომ მათ მიეცემათ საბჭ. კავშირში შესვლის უფლება. შჩარანსკის და ოროვიის შემდეგ მოსმენილ იქნა პატიმრობაში მყოფ უკრაინულ დისიდენტების ნიკოლა რუტენკოს და ოლეგ ტრისის საქმე, რომლის შემდეგაც სახაროვის მოსმენის სხდომამ ერთი საათი შეისვენა. სხდომის განახლების შემდეგ, გაირჩა ჩენი თანამემამულეების, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას საქმე. ჯერ ოლბარაკეს იმათმა ფრაგმა ვეჭოლებმა, მეტრ პატრის მერვილმა და მეტრ ფრანსუა მორეტმა. მათი სიტყვები აქვე მოლიანად იბეჭდება. შემდეგ ფსიქიატრ ავთანდილ პაპიაშვილმა, გამსახურდია-კოსტავას საქმესთან დაკავშირებით, კრებას უამბო ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენებაზე, საერთოდ საბჭ. კავშირში და კერძოდ საქართველოში. მსოფლიო ასოციაციის ჰონოლულეს ფსიქიატრმა კონგრესმა, თქვა პაპიაშვილმა, დამგო ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენება საბჭ. კავშირში, მიუხედავად ამისა იქ ეს მინც გრძელდება, რადგანაც ცოტა ხნის წინად ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა, სრულიად სარე ვენების აღმანებე, ფსიქიატრულ საავადმყოფოში იქნენ მოთავსებული. ბოლოს, სხდომის შემდეგ მომდგა „საბჭ. ჰელსინკის შეთანხმების გატარების მეთვალყურე ფრანგული კომიტეტის თავმჯდომარე ექიმი ოთარ ზურაბიშვილი. აუხსნა რა კრებას ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას დაბატირების და პატიმრობა შესახებ, ზურაბიშვილმა, კრებას წაუკითხა დეპეშის ტექსტი, რომელიც მან კომიტეტის სახელით გაუგზავნა საბჭ. კავშირის კომპარტიის გენერალურ მდივანს და უმალეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრენენეს (სრული ტექსტი იბეჭდება აქვე), შემდეგ ორატორმა მწუხარებით აღნიშნა, რომ ქართველ ოპოზიციონერებს სათანადოდ არ ეხმარება მსოფლიო დემოკრატიული პრესა და მოუწადა იქ მყოფე აქტიური მხარდაჭერით დაეხმარონ გასახურდიას და კოსტავას, რომლებიც იგივე კეთილშობილ ბრძოლას აწარმოებენ, როგორც მათი რუსი, უკრაინული და ებრაელი კოლეგები. ამის შემდეგ ოთარ ზურაბიშვილმა სიტყვა-სიტყვით განაცხადა: „ჩვენ მივიღეთ შემაშფოთებელი ცნობები ზ. გამსახურდიის და მ. კოსტავის ჯანმრთელობის შესახებ, მათი სიცოცხლე საფრთხეშია, ისინი ვერ აიტანებენ მათი „ექიმების მკურნალობას“, ამიტომ, მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარ მოტივებით, მე ვთხოვე საბჭ. მთავრობას, რომ ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას ნება დაეაროს დასავლეთში წამოსვლის, საქირი მკურნალობის მისაღებად, მათთვის სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით. მათი დასავლეთში ყოფნა განსაზღვრება მათი მკურნალობით და მე, ოთარ ზურაბიშვილი, პროფესიით ექიმი, ჰელსინკის ხელშეკრულების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, პატიოსან სიტყვას ვიძლევი ამ კომისიის და საერთაშორისო აზრის წინაშე, რომ ვარ საბჭ. ხელისუფლების განკარგულებაში რათთა ჩემს თავზე მივიღო, მათ აღავას და იმავე პირობებში დაერჩე პატიმრობაში და მით გამსახურდიის და კოსტავის მკურნალობის შემდეგ, უქვევლი ვგზავლო მათი უკან დაბრუნება. მე იმედი მაქვს, რომ საბჭ. ხელისუფლება მიიღებს ჩემს წინადადებას, ეს თხოვნა არის პროტკოლის გარეშე და ის რომ განხორციელდეს საქრობა თქვენს დახმარება, მსოფლიო საზოგადოებრივ აზრის დახმარება, ამნესტი ინერაციონალის, აღამიანის უფლებების საერთაშორისო ლიგის და ყველა სხვა ჰუმანიტარულ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერა. კიდევ ვიმეორებ: ჩემს გადაწყვეტილებას მხოლოდ ჰუმანიტური მიზეზები უღვეს საფუძვლად და გთხოვთ დამეხმაროთ.“ ოთარ ზურაბიშვილის სიტყვამ მქუხარე ტაში გამოიწვია დარბაზში. ამით დამთავრდა სახაროვის მოსმენის სხდომები. შედეგები გადაეცემა ბელგრადის კონფერენციას.

რომი. ნოემბერი. გულნარა ურბატაძე.

ოთარ ზურაბიშვილის

დეკლარაცია



მე, ამის ქვემოთ ხელის მომწერი, ოთარ-ივანე ზურაბიშვილი, ექიმი, ეროვნებით ფრანგი, ევლოში ჰელსინკის ხელშეკრულობის ცხოვრებაში გატარების კომიტეტის თავმჯდომარე, ცხოვრებში პარიზში, ლიოტეს ქ. №6, ჰუმანური მოსაზრებებით გთხოვთ საბჭ. ხელისუფლებას, რომ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას, რომლებმაც უკვე ექვსი თვე გაატარეს თბილისის კ.გ.ზ-ს პატიმრობაში და რომელთა ჯანმრთელობა ამის შედეგად სერიოზულად შერყეულია, ამჟამად იმყოფებიან მოსკოვის სერბსკის ფსიქიატრულ ინსტიტუტში, ნება დართოთ წამოვიდნენ დასავლეთში მკურნალობის მიზნით, რაც აუცილებელია მათი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. პატიოსან სიტყვას ვიძლევი, რომ ვარ საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში, მათი მკურნალობის განმავლობაში, რათა მათ მაგივრად, იმათსავე პირობებში გვატარო პატიმრობაში და მით პასუხისმგებელი ვიყო, მკურნალობის შემდეგ, მათი უკან დაბრუნების.

მე, საჯაროდ ვაცხადებ ამ ჩემს თხოვნას საბჭ. მთავრობის მიმართ საბჭოთა საელჩოების მეშვეობით, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრის წინაშე პრესის საშუალებით

ოთარ-ივანე ზურაბიშვილი

საქართველოში ჰელსინკის შეთანხმების ცხოვრებაში გატარებისათვის მეთვალყურე კომიტეტის კომუნეკ:

სახაროვის საერთაშორისო ტრიბუნალის სხდომების მიმდინარეობის უკანასკნელ დღეს, რომში, ოთარ ზურაბიშვილმა, კომიტეტის თავმჯდომარემ, მიმართა საბჭ. ხელისუფლებას, რათა ორ ქართველ პოლიტპატიმარს, ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას, ნება დაერთოთ დასავლეთში წამოსვლის და აქ მკურნალობის, რაც აუცილებელი საჭიროა მათთვის.

ოთ. ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ის მზად არის მიიღოს პატიმრობა იმათ ადგილას და იგივე პირობებში, რომელშიაც ისინი იმყოფებიან და, მით, პასუხისმგებელი იქნება მათი უკან დაბრუნების.

ბატ-მა ზურაბიშვილმა ეს ვადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც მიღებულ იქმნა შემართებული ცნობები გამსახურდიას-კოსტავას ჯანმრთელობის შესახებ.

ბ. ოთ. ზურაბიშვილის გადაწყვეტილებას, რომელსაც წმინდა კათოლიკური ხსიათი აქვს, იმედი გვაქვს დადებითად გამოეხმაურება საბჭოთა მხარე.

ვიმედოვნებთ, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოება, ადამიანის საერთაშორისო ლიგა, ამნესტი ინტერნაციონალი, მსოფლიო თავისუფალი პრესა და აზრი აქტიურად მხარს დაუჭერს ჩვენი კომიტეტის თავმჯდომარის ამ კეთილშობილ განზრახვას.

ს. ზ. შ. ც. გ. მ. კომიტეტი

პარიზი. 28 ნოემბერი. 1977.

დამატებითი კომუნეკ: სახაროვის საერთაშორისო ტრიბუნალის სხდომაზე თავის განცხადების თანავე, ოთ. ზურაბიშვილი ეწვია საბჭოთა საელჩოს რომში და პირადად გადასცა თავისი წინადადების წერილი.

იგივე განცხადების ტექსტი მიტანილ ან გაგზავნილ იქმნა:

-- საფრანგეთის პრეზიდენტს, საფ. საგარეო საქმეთა მინისტრს, საბჭ. საელჩოს პარიზში, ყველა საბჭ. საელჩოს იმ ოცდაათხუთმეტ სახელმწიფოში, რომლებმაც ხელი მოაწერეს ჰელსინკის საბოლოო აქტს, ბელგრადის, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენციას, ს.ს.რ.კ-ს კ.პ. გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრენდენს, ს.ს.რ.კ-ს უმაღლეს საბჭოს პრეზიდენტს და იუსტიციის სამინისტროს, პრესას.

გამსახურდიას და კოსტავას ფრანგ ადვოკატების მიერ წარმოთქმული სიტყვები სახაროვის ტრიბუნალზე

მეტრ პატრის მერვილი: იმ დღიდან, რაც მანანა გამსახურდიამ გეთხოვა მისი ქმრის და მ. კოსტავის დაცვა, ჩვენ მთელი მონადომებით ვცდილობთ ჩვენი მოვალეობის შესრულებას საბჭოთა სისტემის სამართლის კანონების გათვალისწინებით. მიგმართეთ ვიზისათვის საბჭ. საელჩოს საფრანგე-

30173



თში, რათა ადგილზე, თბილისში, გვენახა ქი მანანა გამსახურდია და მოგვეცოდა საშუალება გამსახურდიის და კოსტავის დაცვის. საეჭრომ გვიპასუხა: პირველი, საქართველოში არიან საეჭროები, სო ვექილებო, რაშიც მე ევეზ არ მუბარება. მეორე, გამსახურდიას და კოსტავის არ აქვთ სამსუალება უცხოელ ვექილების ამორჩევის მათ დასაცავადო. ეს უქანასენელი კი აშკარად სიტყუება, რადგანაც, როგორც ამ დღით აქ უკვე აღინიშნა, საბჭ. სისხ. სამართლის კოდექსის 47 მუხლი ითვალისწინებს: თვითნებ პიროვნებას აქვს უფლება იყისსროს დაიცვას სისამარლოში მიტეული პირი საბჭ. მართლმსაჯულების წინ. ჩვენ გვაქვს უფლება მოვთხოვოთ საბჭ. საეჭროს ვეჩვენოს ის აღბურება, რომელიც გვიპირდავებს გამსახურდიას და კოსტავის დაცვას. რადგან, საეჭროს პასუხი ვეჭრთვე წარმოადგენს დაცვის უფლებების დამახასიათებელ დარღვევას. რადგანაც გამსახურდიას და კოსტავის არ აქვთ უფლება აირჩიონ სასურველი ვექილი, ისინი იძულებული არიან აიყენონ ქართველი ვექილი, თუმცა ეს არ იყო მათი განზრახვა. სამწუხაროდ, ამით არ ისაზღვრება დაცვის უფლების დარღვევების მაგალითები, რომლის მსხვერპლიც არიან გამსახურდია და კოსტავა, დაპატიმრების შემდეგ მათი ბინებზე იქმნა გაჩხრეკილი, მრავალი დოკუმენტი და პირადი ნივთი იყო ჩამორთმეული ისე, რომ იქმნებოდა ხელი არ იყო მოწერილობის, როგორც ამას მოითხოვს კანონმდებლობა. ჩვენ საქმეს კიდევ უფრო აძნელებს ის მდგომარეობა, რომ ამჟამადაც გამსახურდიის და კოსტავის ბრალდების მთავარი მუხლები არ არიან ცნობილი არც მათი ოჯახებისათვის და არც მათ დამცველებისთვის. ჩვენთვის სრულიად უცნობია ის ფაქტები, რომლებსაც მათ ბრალდებად უყენებენ. დაბოლოს, ჩვენ ვერაფრით ვერ შევძელით მიგველო ოდნავი ცნობებიც კი, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი პატიმრობაში და როგორ მიმდინარეობს მათი დაცობა.

ჩვენ ვიცით, რომ გამსახურდიის და კოსტავის დაპატიმრებამ გამოიწვია ფართო გამოხმაურება საქართველოში, ამიტომ ხელისუფლებამ შეცვალაზერხი და ისინი ვადაიყვანეს მოსკოვში. შემდეგ გავიგეთ, რომ ისინი მოთავსებული იყვნენ მოსკოვის სერბსკის სახელობის ინსტიტუტში ფსიქიატრულ ექსპერტიზის მიზნით. პარაზის პელსინკის ხელშეკრულების კომიტეტის ერთმა წევრმა, გასულ 18 ნოემბერს, შეძლო დაკავშირებოდა ტელეფონით, პროფ. ლანდაუს, რომელიც არის ამ ფსიქიატრულ ინსტიტუტის მეთვლე ვანყოფლების მთავარი ექიმი. მან დადასტურა: გამსახურდია და კოსტავა იმყოფებიან ამჟამად მათ ინსტიტუტში. ცნობილია, რომ დაპატიმრებამდე გამსახურდიას და კოსტავის არ შეენიშნებოდათ არავითარი ფსიქიური დაავადების სიმპტომები. ამის დასამტკიცებლად ჩვენ გავაჩინა სათანადო ჩვენებები. დღესდღეობით საბჭ. ხელისუფლებამ არჩია პროცესის ჩატარების რისკს, რომელიც საერთაშორისო საზ. აზრის ამხედრებას გამოიწვევდა. სხვა ჯგუზა - ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენება.. ამიტომ, საშიშია, რომ გამსახურდია და კოსტავა წაღწეულა არ მიეცნენ დავიწყებას, რისკენაც მიისწრაფის საბჭ. ხელისუფლება. სწორედ ამიტომ აქვს დიდი შინაშენლობა თქვენს წინაშე ამ საკითხის წამოჭრას და სერიოზულად განხილვას. ჩვენი, ვექილების თქვენ წინაშე გამოსვლა არის უქანასენელი საქმე, რადგან მათი დაცვის რეგალური საშუალება ჩვენთვის წარმოებულია. ჩვენ მოსული ვართ, რომ შევიტინათ ჩვენი წვლილი მათ სასარგებლოდ, მოსული ვართ, რომ გავაცნოთ მათი მოღვაწეობა, აღვნიშნოთ, რომ მათი მოქმედება არ იყო მიმართული არც პელსინკის ხელშეკრულების არც საბჭოთა ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ. ჩვენ მოსული ვართ ვავაფრთხილოდ საზოგადოებრივი აზრი იმ დევნის შესახებ, რომელსაც ვანიცლიან ამჟამად გამსახურდია და კოსტავა, მხოლოდ იმისთვის, რომ მათ გაბედეს და ამხილეს ადამიანის უფლებების დარღვევები საქართველოში. ჩვენ მოსულები ვართ გამოვთქვათ ჩვენი სასოწარკვეთილება იმ ორ ადამიანის ბედზე, რომელთა ჯანმრთელობა, პატიმრობის პირობები და სიმარტოვე ჩვენში იწვევს დიდ შემოფთებას, და ბოლოს, ჩვენ მოსულები ვართ, რომ გამოვთქვათ აგრეთვე ჩვენი შემოფთება მათი ოჯახების მდგომარეობაზე, რომლებიც დღეს სრულიად მოკლებული არიან ყოველგვარ შემოსავლის წყაროს და მარტობაში იმყოფებიან.

იმ დროს როდესაც ბელგრადში უნდა განხილულიყო ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები, ყველა იმ ქვეყნებში სიდაც ის შეუახულია და კერძოდ საბჭ. კავშირში, ჩვენ მეტად გვადლევათ ფაქტი, რომ ამ დარღვევებს დასაჯუთის ხელისუფალიან მეტად ლმობიერად ეტყვიან. ზედმეტია იმის ფიქრი, რომ ბელგრადი ილაპარაკებს გამსახურდიანზე და კოსტავაზე. ამიტომ არის შინაშენილოვანი, რომ მათი საკითხი ამ აულენციანზე გარჩეულიყო..



მეტრ ფრანსუა მორეტის სიტყვა:

ქართველებს დასავლეთი მოგზაურო შედარებით თავშეყავებულად. საქ. არის ერთერთი იმ სიტუაციის მქონე ქვეყანა, რომელიც რუსეთისა და სხვა ქვეყნების მიერ დაპყრობის საფრთხის ქვეშაა. ისინი არის ისინი, რომლებსაც აქვს სპეციფიკური განსაკუთრებული თავისებურებები.

დღევანდელი აუდიენცია ამითვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგანაც ამის შეუძლია მიცეს და უნდა მიცეს კიდევაც შესაძლებლობა იმისა, რომ ყურადღება გამახვილდეს მათ მიმართ. ცნობილია, რომ მხოლოდ საერთაშორისო ყურადღება მოქმედობს თუნდაც ისეთ ტრაგიკულ შემთხვევებზე, როგორცაა გაძევება, მაგრამ ეს მინც საშუალებაა სიცოცხლის შენარჩუნების. დღემდე თქვენთვის ცნობილია ორლოვი, შჩარანსკი, მაგრამ არ იცნობთ გამსახურდის და კოსტავას. ჩვენი მიზანია ვავაცნოთ და მისცეთ მათ იმედი დასავლეთის გამომხატურებით.

ზ. გამსახურდია (მეტრ მორეტის სიტყვის იმ ნაწილს რომელიც ეხება გამსახურდის და კოსტავის ბიოგრაფიას დამათ თავგადასავალს რაც უკვე იცის ჩვენმა მკითხველმა, ჩვენ აქ გამოუშვებთ.) ჩვენ არ ვიცით რა ბრალდებები აქვთ წაყენებული გამსახურდის და კოსტავას. ვიცით მხოლოდ, რომ ისინი დააკაზმებენ 7 აპრილს, და დაახლოებით ერთი თვეა გადაიყვანეს მოსკოვის სერბისკის ფსიქიატრულ ინსტიტუტში. მთავარი ის კი არ არის თუ რისთვის არიან ისინი დააკაზმებული, არამედ ის რომ დაუშვებელია რომელიმე ქვეყნის მოქალაქე, ამაში გვეულისხმობს საბჭ. კავშირსაც, თვეების განმავლობაში იყოს დაკავებული, გადაყვანილი ფსიქიატრულ საავადმყოფოში ისე, რომ არავინ იცოდეს ამის მიზეზი, არავინ იცოდეს როგორ და რა პირობებში არიან ისინი და საოცარია მით უფრო ის, რომ მის ცოლს, რომელიც იქ იმყოფება, ჩვენ ვეპირდებით, რომ გავიცნოს მისი ქმრის ადგილსამყოფელი და ის კოტაოდენი ცნობები რომლებიც ჩვენ მოგვეპოება.

ჩვენ მოგვმართა და გვთხოვა დაგვეცვა გამსახურდია და კოსტავა ჰელსინკის შეთანხმების კომიტეტში პარიზში. მე აღარ ვაგვიორებ რაც ამ დღით ჩვენმა კოლეგებმა თქვეს. ისინი იმყოფებიან იმავე პირობებში: ვერ მიიღეს ცნობები, ვერავითარი ინსტრუქციები და ვერც ვიცი. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ, ვეპილებს შეგვიძლია ჩვენი დაცვით მხოლოდ ნაწილობრივ დავებმართო ნებისმიერ ქვეყნის ოპოზიციოში მყოფ მოქალაქეს. მთავარი ის კი არ არის, რომ აღმდინი არის დევნილი, გასამართლებული და მიხჯილი, არამედ თუ რა პირობებში ხდება დევნა, გასამართლება და მიხჯა. ამ დღით დაწვრილებით ვანიხილეს საბჭოთა კანონმდებლობა. ის გავს იმ მალაზიის ვიკტორებს, სადაც გამოფენილია მშვენიერი მავრამ ყალბი ნიმუშები, რომლებიც თვით დამინიშაში არ მოიპოვება. საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი გავს დასავლეთისას, რომლებიც თავაზობენ გარანტიებს, მაგრამ თქვენ იცით, რომ ეს კანონები არ არიან გამოყენებული. ვიცით და დღეს დღით ვიდევ აღინიშნა, რომ საბჭ. კავშირში ვეპილს თავისუფლად არ შეუძლია იმოქმედოს და და მოუკიდებლად განახორციელოს კონტროლი მოსამართლეზე, რომელმაც შეიძლება იცნოს კანონის დარღვევა... მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და მით უფრო საბჭოთა კავშირში, ის ვინც უსწოროდ და მისი მილიანად დამოკიდებულია იმ ხელისუფლებისაგან, რომელიც მას ასამართლებს. ცხადია, ყოველთვის, როცა საქმე ეხება დევნისთვის დევნილს, ჩვენ არ შეგვიძლია დავეკრძალოთ, ფორმალურად, მართლ საბჭ. მონაცემებს და ამით რაიმეს მივალწიოთ. რადგან აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირი კიდევ ერთხელ სრულუფლებიანად გევაასუტებს, რომ მისი სისტემა არის კარგად ორგანიზებული, რომ მას ჰყავს შესანიშნავი ვეპილები და რომ მისი კანონები შეიცავენ ყოველგვარ გარანტიას და რომ ჩვენ, დასავლეთის ვეპილებს, არ უნდა გავუწუებდეს ის აღმდინი ბედი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა წავიდეთ უფრო შორს, გავცდეთ საბჭოთა კანონმდებლობის საზღვრებს და მოვთხოვოთ ინტერნაციონალურ ყრილობებზე, რომ გვეყოფა უბრალო და ცარიელი სიტყვები, რომლის შედეგად არავითარი კონკრეტული გადაწყვეტილება არ არის მიღებული, რომ არ არის საკმარისი მის თქმაც, რომ კანონი კარგად შედგენილია და კარგად გამოყენებული. ჩვენ მოვიხიბოთ ეს ჩვენი თვალთ დაღვიანობა. ეს იყო ჩვენი დაბეჯითებითი მოთხოვნა ჰელსინკი, და ეს უნდა გატარებულიყო ბელგრადში. არ უნდა დაგვეწყვიდეს, რომ ბელგრადი არის უკანასკნელი იმედი იმის, რომ საბჭ. კავშირში აღიაროს ეს კონტროლი, აღიაროს თავი აღმდინი. ეს უკანასკნელი იმედი არ უნდა გავუშვათ ხელიდან. თუ ჩვენ ბელგრადში უკან დავიხიბოთ, აღარ იქნება სხვა ბელგრადში ვეპილების დანიშნულება გადალახონ პროცედურის და კანონის ჩარჩოები. კანონის ძალა აქვს თუ ის გატარებულია. რა მნიშვნელობა აქვს თუ რა ბრალდება აქვთ წაყენებული გამ-



სახურდას და კოსტავას, როცა მათი დაცვა ამით არ შემოიფარგლება. მათ დაცვას აზრი ექნება ბაშინ თუ საბჭ. კავშირის ყველა გამსახურლები და კოსტავები შეძლებენ სულ უბრალოდ შეიქცეონ მსოფლიოს ნებისმიერი ვექელი, კონტროლისა და დაცვისათვის. ამისთვის კი საჭიროა კოსტავების ტარა სააკმელი, რომელიც საბჭ. კავშირში ამ ბოლო დროს ოდნავ შეაღო, იქნეს-უფრო ფართოდ გაღებული, ისეთი ძალთ, რომ მან ვეღარ შეძლოს მისი დახვება. ამისათვის, ჩვენ გვეკუთვნის, თქვენ პრესას, თქვენ კომისიის წევრებს, ჩვენ ვექილებს ჩვენი მცირე საშუალებებით, არ შეეწყვიტოთ ჩვენი ლამპრების მიმართვა საბჭ. კავშირზე რადღანაც იმ დღეს, როდესაც საბ. კავშირი გადაწყვეტს არ გაუწიოს ანგარიში ჩვენს აზრს, იმ დღეს ჩვენ საბოლოოდ დამარცხებული ვიქნებით.

§§§ §§§ §§§ §§§
ქალბატონ ანი იანს მოწმობა ზ. გამსახურდიას შესახებ *

ღრმა ინტერესმა საქართველოს ხელოვნებისა და ისტორიისადმი ჯერ კიდევ 1967 წელს მიმიყვანა ქართველი მწერლის და ისტორიკოსი კონსტანტინე გამსახურდიას სახლში. ამ სახლში ნებისმიერი საუბარი შეეხებოდა კულტურას და ისტორიას, გოეთეს და მორგენშტერნს ისევე კარგად იცნობდნენ, როგორც შოთა რუსთაველს. ამ სახლში შესვლისას ყველას ენობოდა, რომ საქმე ჰქონდა ღრმა კულტურის პიროვნებებთან, ინტელიგენტებთან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ეს საუბრები არასდროს არ გადასულან პოლიტიკაზე. სწორედ იქ გავიცანი და დღიათ შევაფასე, მეტად ღრმა ინტელექტუალური დონის მქონე ადამიანი, კ. გამსახურდიას ვაჟი ზვიადი. ის მაშინ ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის მასწავლებელი იყო თბილისის უნივერსიტეტში. ის იყო სალი და სამართლიანობით აღსავსე აზროვნების ადამიანი, რომელიც პირველ პლანში აყენებდა ჰუმანიზმს და სოციალურ სამართლიანობას, რომელიც არ ცნობდა დისკრიმინაციას კაცთა შორის და რომელიც მაგალითის მიძევი იყო თავისი პრინციპების სისხეტაკით. მე პირადად დავესწარი მრავალ და ხანგრძლივ საუბრებს, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ ადამიანებთან, რომლებიც ამ ოჯახში ეძებდნენ რჩევა-დარიგებას, დახმარებას და მხარდაჭერას.

მამამისის სიკვდილის შემდეგ, ზ. გამსახურდიამ გააგრძელა ყველასათვის დახმარების ტრადიცია. (და აქ ქ-ნი იანი აღწერს ზვიადის მოღვაწეობის ზოგიერთ შემთხვევებს, რომლებიც უკვე ცნობილია ჩვენი მითხველისთვის. ამ საბჭო ჩვენ მას გამოუშვებთ)... დაეს კეთილშობილი დამცველი მოვლიჯეს მის მშობლიურ სახლს და დააპატიმრეს მის საყვარელ თბილისში შვიდ აპრულს. ამის შემდეგ არავის არ უნახავს იგი, მის კოლსაც არ მისცეს მისი ნახვის უფლება. კიდევ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ამ ქვეყნის საუკეთესო შვილების დევნა, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ამ უნდა გენოციდი?

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იბრძოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის უფლებებისათვის, ადამიანური ღირსებებისათვის. ეს მათ ძვირად დაუჯდათ. ისინი არასდროს არ იყვნენ და არ იქნებიან პოლიტიკოსები. ვანა წარმოსადგენია ასეთი პირობები აქ, დასავლეთში? ამიტომ, უნდა მოვიფიქროთ მათი დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

10 ივნისი 1977.

ანი იანი

ანდრეი ამალიკის წერილი ოთარ ზურაბიშვილისადმი *

„ყველაფერს ვაკეთებ, რათა მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მივაბყრო ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას ბედზე. ჩემი საბჭ. კავშირიდან გამგზავრების წინ, 1976 წლის 25 ივნისს, მქონდა საშუალება შემემოწმებია მათი მოღვაწეობა საქართველოში და შემიძლია განვაცხადო, რომ ეს მოქმედება ეხებოდა მხოლოდ ჰუმანიურ პრობლემებს და აგრეთვე ქართულ კულტურის ძეგლთა დაცვას. ეს მოღვაწეობა შეესაბამება საბ. კავშირისა და საბ. საქართველოს კონსტიტუციებს და აგრეთვე ჰელსინკის შეთანხმებების სულისკვეთებას, შეთანხმებისა, რომელსაც ხელი მოაწერა საბ. კავშირის მთავრობამ. ისინი არავითარ მოქმედებას ან პროპაგანდას არ ეწეოდნენ საბ. სისტემის

* ქ-ნი იანის და ბ-ნი ამალიკის წერილების ტექსტი ამოღებულია გამსახურდიას და კოსტავას საქმედან, რომელიც შეადგინა ს.პ.შ.ც.გ. კომიტეტმა. ქალ-ნი იანი არის შვეიცარიის წმინდა გიორგის სახელობის არტიტული ინსტიტუტის დირექტორი.

წინააღმდეგ. მათ არასოდეს არ გაუტყველებიათ ცოლისმწამებლური ცნობები რეჟიმის წინააღმდეგ და მათ მიერ გამოქვეყნებული ყველა ცნობა წინასწარ იყო შემოწმებული.

საქიროების შემთხვევაში, მხად ვარ ყველაფერი ეს გავიმეორო სასამართლოს წინააღმდეგ ვთხოვთ ეს აცნობოთ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ადვოკატებს.“

ანდრეი ამალიკი.

ვაშინგტონი. 20 ოქტომბერი 1977.

§§§

§§§

§§§

§§§

§§§

რადიო თავისუფლების ერთი ცული გადაცემის შესახებ (შეშლილი)

„თ.ტ.-ის“ ამის წინა ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილმა ჩემმა წერილმა ზოგიერთის რისხვა გამოიწვია. ბმა ალალორიაქლ. ფაღვამ და ზოგიერთმა სხვამაც ის წერილი გიჟო, როგორც გაღაშტება განსვენებულ ნოე ეორდანიის წინააღმდეგ, რაც ჩემ განზრახვაში სრულებით არ ყოფილა. იმ ჩემ მოკლე წერილში არსად ნათქვამი არ არის, რომ ნოე ეორდანიი დიდი და ღირსეული სახელმწიფო მოღვაწე არ ყოფილიყო, რომ მას არავითარი როლი არ მიუძღოდეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში და სხვა. მაშასადამე, ზედმეტად ამოწერონ სხვადასხვა პირთა გამონათქვამები და წარმოადგინონ ისე თითქოს მე წინააღმდეგი ვიყო ან უცოდინარი ყოველივე ამის. იმ ჩემ წერილში წინააღმდეგი ვიყავი, და ახლაც იმავე აზრის ვარ, ბ. ალ. ლორიას მტკიცებისა: „ნოე ეორდანიი რომ არ ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა“. განვმარტე რა ამ მტკიცების უსაფუძვლობა და უფარგისობა, იქვე დავძინე „ასეთი გავებით სრულიად არ მცირდება ნ. ეორდანიის როლი და მნიშვნელობა საქ. დამოუკიდებლობის მომზადების, გამოცხადების, შენარჩუნების და მის დაცვის საქმეში“.

თავისი „აღმოჩენის“ მართებულობაში რომ დავგარწმუნის, ბ. ლორია იმეკლებს განსიგნებულ მიხედ წერეთელს, რომლის სრული თანახმა ვარ, რადგანაც ის ხაზს უსვამს ნ. ეორდანიის და მისი პარტიის როლს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში. მაგრამ კეთილდასახსენებელი პროფესორის ნათქვამი ბ. ლორიას ნათქვამს როდი ადასტურებს. ამის ის არ იზამდა და რომ ექნა არავინ არ დაუჯერებდა, გარდა ალალორიის და ლ. ფაღვამის.

საქ. დამოუკიდებლობა ნ. ეორდანიის და მის პარტიის ბრძოლით რომ მოვაპოვებთ, მაშინაც ბ. ლორიას მტკიცება უსაფუძვლო იქნებოდა, რადგანაც სოც. დემოკ. პარტიაში ერთი კაცის, რაგინდ სახელოვანი არ ყოფილიყო ის, ნება-სურვილი არ წყვეტდა დიდმნიშვნელოვან საკითხებს. იმ მომენტში საქ. დამოუკიდებლობა გადაწყდა ერთსულეზნად. თუ ნ. ეორდანიი არ იქნებოდა მას სათავეში ჩაუდგებოდა ან ნოე რამიშვილი, ან ევ. გუგუნიანი, ან ირ. წერეთელი და ან სხვა. მაგრამ ქარ. სოციალ-დემოკრატიას, რომელიც განუყოფელი ანწილი იყო რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის, არ ჰქონებია, არც პროგრამაში, არც მხედველობაში, დამოუკიდებლობის გამოცხადება. ოღონდ, სიმართლე და სინდისიერება მოითხოვს აღიარო: როცა ისტორიამ ნ. ეორდანიი და მისი თანამებრძოლები დააყენა მათი პასუხისმგებლობის პირისპირ, ისინი აღმოჩნდნენ მოვალეობის სიმალეზე და სწორედ ამით, პირველ რიგში ნ. ეორდანიი და შემდეგ დანარჩენი, ისინი შეხედნენ საქართველოს ისტორიას.

ბ. ლორია თავს აცხადებს ანტიმარქსისტად(რასაც არ ვუწუნებ) და როგორც ასეთი „ისტორიის გმირება“ თეორიას გვთავაზობს. არა მარტო მარქსიზმისათვის, არამედ დემოკრატიული საზოგადოებებისათვის უცხია ცეზარები, ფიურერები, ღერები „ბელადები“ და სხვა ჯუროს ამინ დაღები. რესპუბლიკის მთავარი პრინციპია თანასწორობა. შეუძლებელია ერთდამივე დროს გწამდეთ თანასწორობაც და განსხვავებულობაც. ისტორიის საკითხში საშუალო ხაზი ვიჭრობ უფრო სინამდვილესთან ახლო. ძლიერი პიროვნებები დიახაც დიდ როლს თამაშობენ, მაგრამ გადაწყვეტი არ არიან. დიდ საზოგადოებას ყოველთვის შესწევს უნარი მის წიაღიდან შვას მაღალი თვისებებით დაჯილდოებული მეთაური, მაშინ როდესაც დიდი კაცი მდარე ხალხიდან დიდ ერს ვერ შექმნის. ამის მაგალითები უამრავია და საჭირო არ არის მათი დასახელება.

წარსულ ნომრის წერილი მე ვიხმარე გამოთქმა: „იმ გადაცემაში სხვა ადგილებიც არ ბრწყინავენ თქვა“. ჩანს ამასაც ვამარტავ უნდა, რადგანაც ბ. ლორია სრულიად საწინააღმდეგოდ ხსნის. ჩემი გაგებთ არ ბრწყინავენ:

1. „ნ. ეორდანიი უწინარეს ყოვლისა ქართველი იყო“. მე მგონია, და ამაზე არა მგონია ვი-



ნმემ ამაზე შეგვედავოს, ნ. ჟორდანიას „არა უწინარეს ყოვლისა“, არამედ საერთოდ ქართველი იყო, ღირსეული და სახელოვანი ქართველი და ამიტომაც ქართველმა ხალხმა მას ეწოდო „თავისუფლების მბრძოლი“ და „თავისუფლების მბრძოლი“. აწვანსენებული აკაცი პაპაია და ზოგიერთი სხვაე მოწინააღმდეგე მისი იყო. ელი ასეთი გამოთქმებით, ნ. ჟორდანიას მოწამულ საჩუქარს სთავაზობს, რთა ხაზი გაუსვას საერთოდ სოციალისტ-მარქსისტებს სუსტ პატრიოტიზმას. მე არც აქტიური სოციალისტი ვარ, არც დემოკრატიული სოციალისტის მტერი. მე არ ვღებულობ აკაცი პაპაიას სათქვამს ქართველ ფორმულას. არაერთმა ქართველმა სოციალისტმა თავიძი სიცოცხლის შეწირვით წაიფუცო თავისი პატრიოტიზმი. ამიტომ სოციალისტობა თავისთავად მამულიშვილობის ანტირთმი არ არის და მამასადამე თავდაპირველი ქართველობა“ ზოგიერთ იშვიათ სოციალისტის თვისებას არ წარმოადგენს.


2. „იგი(ნ. ჟორდანიას) ქართულად უსადაგებდა თავის მოძღვრებას ქართველ ხალხსო“ განა ეს გამორჩეული თვისებაა? ინგლისელი საზოგადო მოღვაწე ინგლისურად ესაუბრება თავის თანამემამულეებს, რუსი რუსულადსომეხი სომხურად და სხვა... წინააღმდეგე იქნებოდა უცხოური,

3. „ნ. ჟორდანიას ერის დიდების მწვერვალზე ავიდა როგორც უგვირვანო გვირგვინისანი“ უგვირვანო გვირგვინისნად დიდ ღლის მოხსენებენ. და მართლაც მის მეფურ შუბლს მეფური გვირგვინი არ ტრსება, თუმცა ის ამის ღირსი იყო. ნ. ჟორდანიას ნეკროლოგში აწ განსვენებული გვირგი კერესელიძე მშვენივრად ბრძანებს: „თუ ილია უგვირგვინო მეფე იყო, ბედმან ქართლისამ ნ. ჟორდანიას შუბლზე დაადგა მძიმე გვირგვინი სრულიად საქართველოსისო“. დაახ, რესპუბლიკის პრეზიდენტი ხალოვან მტყველებებში გვირგვინისანი და ვინაიდან თქვენი, ბანო ღორია გსურთ ხატოვანი მტყველება, თქვენი „უგვირგვინო გვირგვინისანი“ ნ. ჟორდანიას მიმართ მართლაც არ „ბრწყინავს“.

4. „ნოე აღმასწავლებელი“. საქმე იმაში კი არ არის, რომ მე ასეთი რამ გამიგონია თუ არ გამიგონია, არამედ იმაში, რომ სერიოზულ საჯარო საუბრებში ასეთი განცხადებები კარგ შთაბეჭდილებებს ვერ მოხადენენ. სანდო შანშიაშვილის მაგალითი აქ არ გამოდგება. მან სტალინსაც ბევრი ხობტა უძღვნა. მე ეჭვი როდი მეპარება, დამოუკიდებელ საქართველოს, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, რომ დაცლდა დიდ აღმსწავლებლობასაც ჩაატარებდა, მაშინ იქნებ ნ. ჟორდანიას კიდევაც შეეცდებოდა დავით მეორეს(ბანო ღორია ივ. ჯავახიშვილის „ქართ. ერის ისტორია“ 1965 წ. გამოცემაში დავით მეორე არის აღმასწავლებლად მოხსენებული. ჯანაშიას რედაქციით 1943 წ. დაბეჭდული საქ. ისტორიის სახელმძღვანელოში დავით მესამეა აღმასწავლებელი, სხვა წყაროებში შესაძლებელია ის იყოს მეთოხე. ასეთი არვის მაგალითები სხვაე არის საქ. ისტორიაში. მაგალითად ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს ზოგი ვიორგი მეთორმეტედ ხსენიებს, ზოგიც გიორგი მეცამეტედ. ყოველივე ამას მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მთავარია: დავით აღმასწავლებელს ისე დიდი და ჯერჯერობთ განუთქორებელი დამსახურება აქვს ჩვენი ერის წინაშე, რომ ის სხვაში არ შეიძლება აგვერიოს.) აღმსწავლებლობის სახელში, მაგრამ რუსის ხიშტებმა არ დააცალეს... და ისტორია მხოლოდ ფაქტებზე ამყარებს თავის პიროუთენულ დასვენებას.

ბოლოს, ბან ღორიას უნდა ვუთხრა: თავისუფლება მე მესმის ისე, რომ მას ვერავინ ვერ „დახარჩობს“ მის საჯარო საუბრისთვის, სხვებს, და მათ შორის მეც, აქვე უფლება და მოვალეობაც მისი გაკრიტიკების. ბ. ღორიას შეუძლია კრიტიკა არ მიღოს, თავიძი შეზღუდულება დაცივას, გამართება პაექრობა, მკითხველები აზრს მიიღებენ, მსჯავრს გამოითქანს, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს მშვიდად, ურთიერთ პატივისცემისა და დაფასების ატმოსფეროში. ეს არის ჟორდანიას და საერთოდ საზოგადო მოღვაწეობის „ეთიკა“, სამწუხაროდ ბ. ღორია ვერ აღმოჩნდა ამ ღონეზე. ამიტომ ვთხოვე შეესწორებო მისი პასუხი. ის მარც დაარჩა დაბალ საფეხურზე. თუ ეს სასარგებლოა მისთვის, მე ჯგი სრულებით არ მვენებს.

რაც შეეხება ბ. ღვეან ფაღავას, მასზე ლაპარაკიც ზედმეტია, მისი ბიბუქური გამოხტობა მასზე გულს მიტეხავს ეს არის და ეს. ლ. ფაღავა ცნობილია, როგორც მასხარა, მსმენელები, რომ გააციონ მას სჩვევია ამბების გადაქარბება, გამარყება, მაგრამ ჩემს მიმართ გამარყებას კი არ აქვს ადგილი, არამედ ბოროტ და მთვინე ცილისწამებას ვითომც მშვენიერ დღეს მშვენიერ ნობების: პარტიები უნდა დაიშალოსო. თუ ის ამ „ცნობის“ წყაროს დამისახლებს, მისი ხმალი იყოს და ჩემი კისერი, თუ არა და განზრახ ცილისწამებისათვის საჯაროდ შემირცხვენია.



ქართული პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციების განცხადება

სწორედ იმ დღეებში, როცა მთელი საქრისტიანო კაცობრიობა შობის სადღესასწაულოდ შემადგენლობდა, საბჭოთა დამსჯელი რაზმის ტყვიებმა სიცოცხლეს გამოასალმა **42** წლის ქართველი პატრიოტი **ვლადიმერ ჟვანია**. საბჭ. ხელისუფლება ამას უწოდებს „მართლმსაჯულების სისრულეში მოყვანას“, სინამდვილეში კი ადგილი ჰქონდა მართლმსაჯულების გათამაშებას, ხოლო ვლ. ჟვანიას სამაგალითოდ მოუსპეს სიცოცხლე, რომ სხვა ქართველებმა მომავალში ვეღარ გაბედონ თავიანთი უზენაესი ეროვნული უფლებების დაცვა.

ასეთი მკაცრი და ველური მოქცევა პოლიტიკურ მოწინააღმდეგის მიმართ, ჩვენში იშვევს მხოლოდ ზიზღის და რისხვის გრძნობებს და ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, თუ ეს საქირო იყო, რომ საბჭოების დღევანდელი ხელისუფლება, თავისი სიმკაცრით და არაადამიანურობით არაფრით ჩამორჩება სტალინის დაწვევილ რეჟიმს.

გამოთქვამთ რა ჩვენს გულისწყრომას საბჭ. ხელისუფლების მიერ წინასწარ განზრახვით ჩადენილ ასეთ ბოროტებას გამო, მივმართავთ ყველას, ვისთვისაც ადამიანის სიცოცხლე ძვირფასია, ჩვენთან ერთად დაგმოს ვლადიმერ ჟვანიას მკვლელობა.

საქ. ეროვ. დემოკრატიულ პარტიის სახელით:	მიხეილ ქავთარაძე.
საქ. სოციალ. ფედერალისტთა პარტიის დღევანდელი უცხოეთში წინამძღოლის ნიკოლოზ ურუშაძე	გიორგი წერეთელი
ქართ. ახალი თაობის დემ. ორგანიზ. სახელით:	
საქ-ში ჰელსინკის ხელშეკრულების გატარების კომიტეტის სახელით:	ოთარ ზურაბიშვილი
პარიზი. 14 იანვარი. 1978 წელი.	

ვლადიმერ ჟვანიას პანაშვიდი

1978 წლის 14 იანვარს. საღამოს შვიდ საათიდან, პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში, დეკანოზმა ილიამ წირა და პანაშვიდი გადაიხადა ახლახან დახვრეტელ მამულშვილის, ვლადიმერ ჟვანიასი.

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო (გაცხადებთ მხოლოდ მათ, ვინც „ივერიის“ დეკემბრის ნომერში არ გამოცხადებულან.)

ქ. იერში(ვარის დებ. საფრანგეთი) პენსიონერთა სახლში, ხანგრძლივ და მტკივნეულ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1977 წლის პირველ ივლის ვლადიმერ(ვალოდია) კვაპანტირაძე.

... ..

1977 წლის ათ დეკემბერს, ლონდონში, ასი წლის ასაკში მიიცვალა ქ. ნინო ჯაყელი.

... ..

1977 წლის 19 დეკემბერს მიუნხენში გარდაიცვალა ქართველების ერთგული მეგობარი ქალბატონი იოჰანა დიპოლდი.

... ..

წელს, თექვსმეტ იანვარს გარდაიცვალა ალექსანდრე მელივა. დასაფლავებულია ქ. კლივის სასაფ.

... ..

თავ. ტრიბუნა გლოვობს მათ დაკარგვას და ღრმა მწუხარების გამოძახატველ სამძიმარს უცხადებს მათ მგლოვიარე ოჯახებს.

შემოსავალ - გ ასავლის ანგარიში

შემოსავალი 1977 წლის პირველ აგვისტოდან 1978 წლის ოცდაერთ იანვრამდე:	
მიშა ვაფრინდაშვილი	50,00
ნიკო გულაშვილი	100,00
ქ. გ.	50,00
ლადო შარაბიძე	246,30
მარინა ელისი	133,50
დეკანოზი ილია	200,00
მარტიანე მგელაძე	50,00
კარლო გვაოჯალაძე	96,40
ნიკოლა ანთაძე	100,00
ვიტალი უგრეხელიძე	17,20



გიორგი ჯაყელი	197,00
ექ. ილია მაღალაკელიძე	200,00
დავით ტორაძე	300,00
ისიღორე გაყონია	95,00
სალომე ზურაბიშვილი	300,00

ელენე მგალობლიშვილი	50,00
ალექსანდრე ბარკალიძე	150,00
დემიტრი მახარაშვილი	222,35
გულნარა დიდივით ურბაძე	200,00
გრიგოლ წერეთელი	100,00

დანახარჯი

საბეჭდო ძახქანის ლენტები	336,59
ფოსტის ხარჯები	549,52
სტამბის ფაქტურა	4939,20
დანახარჯის ჯამი	6045,31

ჯამი	2857,79
წინა ნომრის ანგარიშის ნაშთი	1868,99
სულ სალაროში	4726,78

სალაროს დანაკლისი 1318,53

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი

რედაქციის განცხადება

მითხველები ალბათ შეამჩნევენ, რომ ეს ნომერი სარედაქციო კოლეგიის დაუსახელებლად გამოდის. ეს ცვლილება ახსნას საჭიროებს. კოლეგიის ორმა წევრმა, გიორგი ნოზაძემ და მიხეილ ქავთარაძემ, საჭიროდ ცნეს ჟურნალის ფორმალურ ხელმძღვანელობიდან განთავისუფლებულიყვნენ. ამ გადაწყვეტილების მოტივები შემდეგია: გიორგი ნოზაძემ თავს მისი ძმის, ვიქტორის, სიკვდილის გამო დროებით შეწყვეტულ ჟურნალ კავკასიონის დირექტორობა და რადგან იგი ამასთანავე ოთხმოც წელსაც უახლოვდება, თუმცა არ ავადმყოფობს, იმდენად დაღლილი მაინც არის, რომ მისთვის ენერჯის დაზოგვა სავალდებულოა. რაც მიხეილ ქავთარაძეს შეეხება, მართალია ასაკის მოტივი არ არსებობს, რადგან ჩვენ პირობებში, 71 წლის კაცს ხანდაზმულობის მომიზეზება უფლება არ აქვს, მაგრამ სხვა მხრივ, მდგომარეობა ანალიკოზითა: გარდაიცვალენ ჟურნალ „ივერიას“ ხელმძღვანელები ე. პატარაძე და ს. ჭირაქაძე, გარდაიცვალა ამერიკაში გამოცემულ „ქართული აზრის“ ხელმძღვანელი დ. სინჯიკაშვილი. ამის გამო „ივერიას“ ახლანდელ ხელმძღვანელ მ. ქავთარაძეს ტვირთად დაედო, წინადა ორ ჟურნალში განაწილებულ მუშაობის, მარტო გაწევა. მითუმეტეს, რომ „ივერიას“ სარედაქციო კოლეგიის ხუთი წევრიდან, ორი ცხოვრობს ამერიკაში, ორი კი გერმანიაში.

ეს განმარტება ნორმალურ მდგომარეობაში საქმარისი იქნებოდა, მაგრამ არანორმალური ის არის, რომ ჟურნალის მკითხველები ხუთ კონტინენტზე არიან გაფანტული და მათი უმრავლესობა კოლეგიის წევრთა ურთიერთ დამოკიდებულების ხასიათს არ იცნობს, ამიტომ ყოველგვარ გაუფებრობის თავიდან ასაცდენად საჭიროდ მიგვაჩნია განაცხადით: არაკითარი უთანხმოების ნასახიკი ჟურნალის საერთო გევის წარმართვაში ჩვენს შორის არ ყოფილა. მუშაობა რედაქციაში იყო ნამდვილი კოლეგიური, საკითხები ყოველთვის ხმის უმრავლესობით წყდებოდა, ასე, რომ ჩვენ საერთო პასუხისმგებელი ვართ ყოველივე დღემდე დაბეჭდილისა. ხოლო დღეიდან თუმცა ფორმალურ პასუხისმგებლობიდან ვთავისუფლდებით, მაგრამ ჟურნალში თანამშრომლობას განვაგრძობთ.

„თავ. ტრიბუნის“ წარმატებამ და მკითხველთა გამოხმაურებამ ცხადყო ამ ჟურნალის საჭიროება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მკითხველები მომავალშიაც სიმპატიით გამოხმაურებიან ამ გამოცემას, რაც პასუხისგების წინაშე მარტოდ დარჩენილ რედაქტორისთვის დაუფასებელი, იმპულსის მიმცემი, დახმარება იქნება.

გიორგი ნოზაძე
მიხეილ ქავთარაძე

შეცდომების გასწორება - ამის წინა ნომერში, მეორე გვ. სულ ბოლო სტრიქონში დაბეჭდილია „დაქსაქსული დარჩება მტრის ველის..“ უნდა იყოს „დაქსაქსული დარჩება და მტრის..“ გვ.31 პირველ სტრიქონში „რომლის მეოთხე საუკუნის ქართული..“ უნდა იყოს „რომლის მეცხრე საუკუნის ქართული..“ გვ.34 პირველ აბზაცის ბოლოში „მედვის ნახევარი და...“ უნდა იყოს „მედვის უფროსი და“. უცანასკნელ აბზაცის შუაში „ერთი საუკ. შემდეგ“ უნდა იყოს „ორი საუკ. შემ..“